

**გაეროს  
გეგმა  
განვითარების  
საოპერაციოების  
2011 - 2015**

---

გაეროს სანაგებმოთა ჯგუფი საქართველოში

---




---

**გაეროს გეგმა  
განვითარების  
საღონეყოფისთვის  
2011 - 2015**

# სარჩევი

შემოკლებანი	4
მოკლე შინაარსი	6
ხელმონერების გვერდი	8
<b>ნაწილი 1:</b>	
შესავალი	10
<b>ნაწილი 2:</b>	
UNDAF-ის შედეგები	16
<b>თემატური სფეროები:</b>	
1. სიღარიბის შემცირება	17
2. დემოკრატიული განვითარება	21
3. კატასტროფის რისკის შემცირება	25
<b>ნაწილი 3:</b>	
საგანგებო ინიციატივები UNDAF-ის შედეგებს მიღმა	28
<b>ნაწილი 4:</b>	
რესურსები	29
<b>ნაწილი 5:</b>	
განხორციელება	30
<b>ნაწილი 6:</b>	
მონიტორინგი და შეფასება	31
<b>დანართები</b>	
<b>დანართი ა: UNDAF-ის შედეგები</b>	
სიღარიბის შემცირება	33
დემოკრატიული განვითარება	38
კატასტროფის რისკის შემცირება	45
<b>დანართი ბ:</b>	
UNDAF 2011-2015: მოთხოვნები ინდიკატურ რესურსებზე	54
<b>დანართი გ:</b>	
UNDAF-ის მონიტორინგისა და შეფასების კალენდარი	55



# შედეგები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
BDD	ძირითადი მონაცემები და მიმართულებები
CCM	შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტების სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო
CEACR	კონვენციებისა და რეკომენდაციების ექსპერტთა კომიტეტი
CEDAW	კონვენცია ქალთა ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ
CoC	კონტროლის პალატა
CRA	სამოქალაქო რეესტრის სააგენტო
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
DOCO	განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის საკოორდინაციო სამსახური
DRR	კატასტროფის რისკის შემცირება
EBRD	ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი
ExCom	აღმასრულებელი კომიტეტი
EIB	ევროპის საინვესტიციო ბანკი
EMD	საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტი
EU	ევროკავშირი
FAO	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FDI	პირდაპირი უცხოური ინვესტიცია
GBV/DV	გენდერული ძალადობა და ოჯახური ძალადობა
GE	გენდერული თანასწორობა
GeoStat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GoG	საქართველოს მთავრობა
HFA	ჰიოგოს სამოქმედო გეგმა
HRBA	ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა
IAEA	ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო
IDP	იძულებით ადგილნაცვალნი პირი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ILS	შრომის საერთაშორისო სტანდარტები
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ITC	საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი UNCTAD/WTO
JNA	საჭიროებათა ერთობლივი შეფასება
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MCH	დედისა და ბავშვის ჯანმრთელობა
MCLA	სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო
MD	ათასწლეულის დეკლარაცია
MDG	ათასწლეულის განვითარების მიზანი
MoA	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MoE	ენერგეტიკის სამინისტრო
MoED	ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
MoEPNR	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MoES	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MoF	ფინანსთა სამინისტრო
MoIA	შინაგან საქმეთა სამინისტრო

MoJ	იუსტიციის სამინისტრო
MoLHSA	შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MoRDI	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
MRA	ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
MTEF	ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა
NATO	ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია
NCDC	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი
NEA	გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო
NERP	საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნული გეგმა
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NSC	ეროვნული უშიშროების საბჭო
NRA	არარეზიდენტი სააგენტოები
OHCHR	გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სამსახური
PDO	სახალხო დამცველის ოფისი
PLWHA	აივ/შიდსით დაავადებული ადამიანები
PRRO	დახმარებისა და რეაბილიტაციის გრძელვადიანი საქმიანობა
PSG	საკონსულტაციო ჯგუფი
RBM	შედეგებზე დაფუძნებული მართვა
RC	მუდმივი კოორდინატორი
RDT	დირექტორთა რეგიონული ჯგუფი
RHNC	რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭო
SRH	სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა
TG	თემატური ჯგუფი
TSA	მიზნობრივი სოციალური მხარდაჭერა
UNAIDS	გაეროს აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამა
UN-CEB	გაეროს მთავარი აღმასრულებელი საბჭო
UNCT	გაეროს სააგენტოთა ჯგუფი საქართველოში
UNCTAD	გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ
UNDAF	გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNECE	გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპის ქვეყნებისთვის
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
UNIDO	გაეროს მრეწველობის განვითარების ორგანიზაცია
UNIFEM	გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის
UNJP	გაეროს ერთობლივი პროგრამა
UNJT	გაეროს ერთობლივი გუნდი
UNRCO	გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისი
USAID	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WB	მსოფლიო ბანკი
WFP	მსოფლიო სასურსათო პროგრამა
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

„გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის“ (UNDAF) საკონსულტაციო პროცესის შედეგია, სადაც აღწერილია გაეროს საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის სფეროები 2011-2015 წწ. UNDAF-ი შეესაბამება საქართველოს მთავრობის ეროვნული განვითარების პრიორიტეტებს, როგორცაა: „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, „ათასწლეულის განვითარების ეროვნული მიზნები“ და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს. ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით, UNDAF-ი ქმნის საფუძველს გაეროს ორგანიზაციების ინდივიდუალური თუ ერთობლივი საქმიანობისთვის. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს სამ ურთიერთდაკავშირებულ თემატურ მიმართულებას, სადაც გაეროს სისტემას შეუძლია, ქმედითად გამოეხმაუროს საქართველოს პრიორიტეტებსა და საჭიროებებს:

– **სიღარიბის შემცირება** მიზნად ისახავს მზარდ, საყოველთაო განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ხელმისაწვდომობას ჯანდაცვაზე, განათლებასა და აუცილებელ სოციალურ მომსახურებებზე, განსაკუთრებით დაუცველთათვის<sup>1</sup>.

– **დემოკრატიული განვითარება** მიზნად ისახავს თანაბარზომიერი, დამოუკიდებელი, სამართლიანი და თანამონაწილეობრივი მმართველობის სისტემებისა და პროცესების ხელშეწყობას ყველა დონეზე, რაც ეფუძნება კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის პრინციპებს.

– **კატასტროფის რისკის შემცირება** მიზნად ისახავს, განამტკიცოს საქართველოს უნარი, გაუმკლავდეს კატასტროფებს საგანგებო ვითარებაში ზიანისა და ზარალის პრევენციისა და მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

გარდა ამისა, გაეროს საგანგებო ინიციატივების მიზანია რწმენის აღდგენა და კონფლიქტის პრევენცია, შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი და დემოკრატიისკენ სვლისთვის დამახასიათებელი დაძაბულობის შემცირება.

რესურსების სრული მობილიზაცია გულისხმობს 188.5 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას UNDAF-ის განხორციელების ხუთწლიანი პერიოდისთვის. რესურსებთან დაკავშირებული ვალდებულებები აისახება თანამშრომლობის პროგრამებსა და სააგენტოებისა და პროექტების ბიუჯეტებში UNDAF-ის განხორციელების პროცესში.

საქართველოში, როგორც საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაში, მომსახურებები ძირითადად სამთავრობო ბიუჯეტიდან ფინანსდება. გაეროს სტრატეგიული დამატებითი ღირებულება ეფუძნება საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო აქტებისა და კონვენციების შესაბამისი ნორმებისა და სტანდარტების შექმნას. ამგვარად, გაერო ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოებასა და მოსახლეობას, როგორც უფლების მქონეთ, ხელი მიუწვდებოდეთ მიუკერძოებელ პოლიტიკურ აზრსა და სამართლიანობაზე, ასევე დაეხმარება ხელისუფლებას, როგორც ვალდებულების მქონეს, შესაძლებლობათა განმტკიცებაში სახელმწიფო თუ ადგილობრივ დონეებზე. გაერო საქართველოში ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორების მობილიზებასა და თანამშრომლობას, ასევე ეროვნული განვითარების პოლიტიკის ობიექტურ მონიტორინგსა და შეფასებას მისი ქმედითი განხორციელებისთვის.

UNDAF-ი ეყრდნობა საქართველოში 2008 წ. ვითარების ერთობლივ შეფასებას<sup>2</sup>, რომლის საფუძველზეც, საქართველოს მთავრობის „ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“,

1. ლტოლვილები, დევნილები, ღარიბები, უმუშევრები, ქალები და ბავშვები, საღმრთლო დაწესებულებებში მყოფი ბავშვები, უნარშეზღუდული ადამიანები, გენდერული და ოჯახური ძალადობის, ტრეფიკინგისა და იძულებითი შრომის მსხვერპლნი, შიდა და ადგილობრივი ადამიანები, შრომითი მიგრანტები და სხვები, რომელთაც მოიცავს გაეროს სისტემა საქართველოში

2. საქართველოს საჭიროებების ერთობლივი შეფასება, ოქტომბერი 2008. დოკუმენტი მომზადებულია გაეროს და მსოფლიო ბანკის მიერ სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გამართული კონფერენციისთვის

„ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის“ და გაეროსა და სხვა ორგანიზაციების სხვადასხვა ანგარიშისა და კვლევის გათვალისწინებით, დადგინდა პრიორიტეტები. UNDAF-ის ფორმა განისაზღვრა სპეციალურ სემინარზე, რომელსაც ესწრებოდნენ სამინისტროების, საქართველოში გაეროს სისტემისა (მათ შორის არარეზიდენტი სააგენტოების) და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე განვითარების საკითხებით დაინტერესებული სხვა პირები. UNDAF-ზე მუშაობის შემდგომი პროცესი წარმართა სამმა თემატურმა ჯგუფმა, რასაც მოჰყვა სამუშაო შეხვედრა და დამტკიცდა UNDAF-ის შექმნის პროცესის ყველა მონაწილის ერთობლივი ვალდებულება UNDAF-ის ამოცანების შესასრულებლად.

UNDAF-ი განხორციელებდა საქართველოს მთავრობისა და გაეროს სააგენტოების შეთანხმებით, დადგენილი ეროვნული ჩარჩოების, სისტემების და საქმიანობის ფარგლებში, მათ შორისაა სახელმწიფო დოკუმენტები და პროგრამები, სხვადასხვა პროექტი, ერთობლივი პროგრამა თუ სამუშაო გეგმა. UNDAF-ის მონიტორინგი და შეფასება შეესაბამება სახელმწიფო და გაეროს სააგენტოების სისტემებსა და პროცესებს. გაეროს სააგენტოთა ჯგუფი გაეროს მუდმივი კოორდინატორის ხელმძღვანელობით, საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობითა და თემატური ჯგუფების ხელშეწყობით UNDAF-ის განხორციელების ძირითადი მეთვალყურე იქნება.



# საქართველოს გვერდი


## გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის 2011-2015

წინამდებარე დოკუმენტი შეიქმნა საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფს, საქართველოს მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსულტაციების შედეგად და მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით დაუცველთა, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი, საქართველოს მთავრობასა და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით, ეხმარება საქართველოს ათასწლეულის განვითარების მიზნებით და საერთაშორისო კონვენციების, პროტოკოლების და სტანდარტების მიმართ ქვეყნის ვალდებულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაში. გაეროს სააგენტოთა ჯგუფის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველი ხალხის სწრაფვას უკეთესი მომავლისაკენ, რაც ყველასთვის თანასწორ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.


მონაწილე მხარეები ხელმოწერით ამტკიცებენ „გაეროს გეგმას განვითარების ხელშეწყობისთვის“ და აღიარებენ ერთობლივ ვალდებულებებს მისი მიზნების შესასრულებლად.

### საქართველოს მინისტრთა კაბინეტი




**ნიკა გილაური**  
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

### გაეროს სააგენტოთა ჯგუფი




**ჯემი მაკგოლდრიკი**  
გაეროს მუდმივი კოორდინატორი,  
გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი  
წარმომადგენელი,  
გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენელი


### გაეროს რეზიდენტი სააგენტოები




**მამუკა მესხი**  
სურსათისა და სოფლის მეურნეობის  
ორგანიზაციის წარმომადგენლის მოადგილე



**მარტინა ლუბიოვა**  
შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის  
ტექნიკური დახმარების ჯგუფისა და  
აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური  
აზიის ოფისის დირექტორი



**მერი შიჰანი**  
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის  
ხელმძღვანელი



**ვლადლენ სტეფანოვი**  
ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომის-  
არიატის მთავარი მრჩეველი ამიერკავკასიაში

**მანოლა გროზდანოვა**

გაეროს აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამის  
კოორდინატორი აზერბაიჯანში, საქართველოსა  
და სომხეთში

**პიტერ ნიკოლაუსი**

ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის  
წარმომადგენელი

**რულანდ მონაში**

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

**დამირა სარტბაევა**

გაეროს ქალთა ფონდის დამოუკიდებელ  
სახელმწიფოთა თანამეგობრობის რეგიონული  
პროგრამის დირექტორი

**მაკა აშმედი**

მსოფლიო სასურსათო პროგრამის  
წარმომადგენელი და დირექტორი საქართველოში

**რუსუდან კლიმაშვილი**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის  
საქართველოს ოფისის დირექტორი

**გაეროს არარეზიდენტი სააგენტოები**

**მანასე პიტერ სალამა**

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს  
ტექნიკური თანამშრომლობის დეპარტამენტის  
ევროპის განყოფილების დირექტორი

**ელენა ბუტრიმოვა**

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის პოლიტიკისა  
და პროგრამების ბიურის აღმოსავლეთ ევროპისა  
და ცენტრალური აზიის ოფისის ხელმძღვანელი  
(ITC UNCTAD/WTO)

**მანუელა ტორტორა**

ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს  
კონფერენციის ტექნიკური თანამშრომლობის  
სამსახურის უფროსი

**ზამირა ეშმამბეტოვა**

ევროპის ქვეყნებისთვის გაეროს ეკონომიკური  
კომისიის ტექნიკური თანამშრომლობის  
განყოფილების დირექტორი

**გუეგოუ დონიჩვი**

გაეროს მრეწველობის განვითარების  
ორგანიზაციის ევროპისა და ახლადწარმოქმნილ  
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რეგიონული  
პროგრამის ხელმძღვანელი

საქართველოს მთავრობის უმთავრესი მიზანია „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. მის მისაღწევად მთავრობის ძირითადი სტრატეგია ითვალისწინებს ინტეგრაციას საერთაშორისო თანამეგობრობაში, განსაკუთრებით ევროკავშირსა (EU) და ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში (NATO), რაც უზრუნველყოფს ეფექტურ ეკონომიკურ ზრდას, მასშტაბურ სოციალურ პროგრამებსა და დაუცველი მოსახლეობის მიზნობრივ დახმარებას. გასული წლების განმავლობაში მთავრობამ მოამზადა და წარმოადგინა სისტემური ცვლილებების ფართო სპექტრი ყველა სექტორში და ამ ცვლილებათა შედეგები, მათ შორის: ძლიერი ეკონომიკური ზრდა, კერძო სექტორის განვითარება და ინფრასტრუქტურის შთამბეჭდავი გაუმჯობესება. მკვეთრი ანტიკორუფციული ზომების გატარებით და ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციით გაუმჯობესდა ბიზნეს-გარემო და ქვეყანა უფრო მიმზიდველი გახდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის. 2004-დან 2008 წლის შუა პერიოდამდე საქართველოში დიდი ეკონომიკური აღმავლობა აღინიშნა – ზრდის კოეფიციენტი 2007 წ<sup>3</sup>.

12.3 პროცენტს მიაღწია.

განათლების სექტორში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, რაც მიზნად ისახავდა ხელმისაწვდომობის, ხარისხის და თანასწორობის გაუმჯობესებას. აღნიშნული მოიცავდა იურიდიულ რეფორმებსაც, შემოიღეს ვაუჩერული დაფინანსება, მოხდა მართვის ორგანიზაციული რესტრუქტურირება და დეცენტრალიზაცია და ინფრასტრუქტურის მასშტაბური ოპტიმიზაცია და რეაბილიტაცია. მოამზადეს და წარმოადგინეს ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები. დაიხვეწა პროფესიული დონე, სკოლები კომპიუტერებით აღიჭურვა, გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასები. შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ დასაკმაყოფილებლად მომზადდა სტრატეგია და მიმდინარეობს რეფორმები პროფესიული განათლების კუთხით.

3. სტატისტიკური წელიწადური 2009, გვ 120, ვებ - გვერდი <http://www.statistics.ge/publication.php?pfom=999999&plang=1>

2007 წ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ კანონის მიღების და კერძო მომსახურების სისტემის შემოღების შედეგად საქართველოს ჯანდაცვის სექტორი მნიშვნელოვნად შეიცვალა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადაზღვევო პოლიტიკა და პაკეტი დაფარავს საქართველოს სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ 1.2 მილიონ მოქალაქეს და მათთვის ხელმისაწვდომს გახდის ჯანდაცვის აუცილებელ სამსახურებს. მომდევნო წლებში მთავრობა აპირებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებული და აღჭურვილი ახალი საავადმყოფოების გახსნას, ხოლო ოჯახის ექიმის სისტემისა და ამბულატორიების მეშვეობით სოფლის მცხოვრებთა ჯანდაცვის სამსახურებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

რეფორმირებული და გაუმჯობესებულია სოციალური დახმარების და დაცვის სამსახურები ღარიბი და დაუცველი ჯგუფებისთვის, როგორცაა: ხანდაზმულები, სახელმწიფო ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვები, უნარშეზღუდულები, გენდერული და ოჯახური ძალადობის, ტრეფიკინგის და იძულებითი შრომის მსხვერპლნი, დევნილები და ლტოლვილები. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა, დეინსტიტუციონალიზაცია, მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის შემუშავება და განხორციელება, საპენსიო რეფორმა, კანონმდებლობა და სამოქმედო გეგმა, რომელიც გამიზნულია განათლების სპეციალური საჭიროებებისთვის, ადამიანებით ვაჭრობის, გენდერული და ოჯახური ძალადობის პრევენცია, პროფესიული შესაძლებლობების ამაღლება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება მხოლოდ მცირე მაგალითია 2004 წლიდან განხორციელებული ინიციატივებისა.

საქართველოში მიმდინარეობს დემოკრატიული გარდაქმნის პროცესი, რომელიც მოიცავს სამართლებრივი, აღმასრულებელი და სასამართლო რეფორმების ფართო სპექტრს. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების შედეგად მოხდა რესურსების დეცენტრალიზაცია და პასუხისმგებლობათა გადაბარება რეგიონული სამთავრობო სტრუქტურებისათვის, რამაც გაზარდა ადგილობრივი შესაძლებლობები განვითარების პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების თვალსაზრისით. გაიზარდა სახალხო დამცველის სამსახურის

როლი და შეიქმნა იურიდიული დახმარების ბიურო. ეკოლოგიური მდგრადობა და ბუნებრივი რესურსების მართვა, მათ შორის საქართველოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება, რადგან საქართველოს მთავრობა ცდილობს, შეასრულოს ნაკისრი გლობალური გარემოსდაცვითი ვალდებულებები. თანდათან ხდება გენდერული თანასწორობის აღიარება მთავრობისა და საზოგადოების მიერ.

შთამბეჭდავი წარმატებაა მიღწეული სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. ეკონომიკურმა ზრდამ და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ მეტი ადამიანი უნდა მოიცვას, მხოლოდ ასე დაიძლევა სიღარიბე. მრავალმხრივი რეფორმების მიუხედავად, სიღარიბისა და უმუშევრობის გამო მრავალი ადამიანი იყო მძიმე მდგომარეობაში, 2008 წ. მეორე ნახევრიდან კი სხვა პრობლემებმა იჩინა თავი. 2008 წ. აგვისტოში რუსეთთან ხანმოკლე შეიარაღებულ კონფლიქტს მოჰყვა ნგრევა, დევნილობა, შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი დაძაბულობა და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის აღიარება. ამ რეგიონების რეინტეგრაცია საკმაოდ პრობლემურია. ომის შემდეგ დევნილთა ახალი ტალღა წამოვიდა და მათი მთლიანი რაოდენობა 246,925-მდე გაიზარდა, რასაც ემატება 105,715 ადამიანი, რომლებიც დევნილებთან გათანაბრებულ მდგომარეობაში ცხოვრობს საქართველოში.<sup>4</sup> კონფლიქტით დაზარალებულ მხარეებში შეღწევა თითქმის შეუძლებელია, რის გამოც დაუცველთა ჯგუფები აუცილებელი მომსახურების გარეშე

4. UNHCR, იანვარი 2010. დევნილები: 233,453 1990 წლიდან, 3,472 - 2008 წლიდან (სტატუსი ჯერ არ აქვთ) და 10,000 ადამიანი რომელიც ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დევნილებთან გათანაბრებულ მდგომარეობაში ცხოვრობს: 50,000 დაბრუნებული დევნილი აფხაზეთში, საქართველო, 4,186 დაბრუნებული დევნილი ცხინვალის რეგიონში, 30,073 დაბრუნებული დევნილი ცხინვალის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე და 21,456 ხელახლა გადაადგილებული დევნილი. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად დევნილებთან გათანაბრებული პირებს აქვთ დევნილის სტატუსი. მათით დაინტერესებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და მთლიანად გაეროს სისტემა; მათ კვლავაც სჭირდებათ ჰუმანიტარული დახმარება. გაეროს ხალხმოსახლეობის ფონდის სტატუსი დევნილებთან გათანაბრებულობის შესახებ არანაირად შეუშლის ხელს მათ დაბრუნებას.

რჩებიან. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო ართულებს სამთავრობო პროგრამების განხორციელებას, თუმცა, დსთ-ის სხვა ქვეყნებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით, საქართველოში უკეთესი მდგომარეობა იყო<sup>5</sup>. შიდა პოლიტიკურმა მღელვარებამ 2009 წლის გაზაფხულზე მწვერვალს მიაღწია და გადაიზარდა ოპოზიციის მასობრივ საპროტესტო აქციებში, რამაც თბილისის პარალიზება გამოიწვია და, შესაბამისად, სერიოზულ გამოწვევად იქცა საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიისთვის. ეკონომიკურ და პროგრესის ძირითადი მაჩვენებლებში ნეგატიური ტენდენცია შეინიშნება, გაუმჯობესების მოლოდინი ძალიან მცირეა; მთავრობა და მისი პარტნიორები დგამენ საჭირო ნაბიჯებს რეფორმების განსახორციელებლად.

2008 წლიდან დაწყებულ ეკონომიკურ ვარდნას მხოლოდ ახლახანს დაეტყო გამოსწორების ნიშნები. ამასთან, 16,5 პროცენტამდე გაიზარდა უმუშევრობის დონე, ხოლო საქართველოს შინამეურნეობათა უმრავლესობის შემოსავლის ძირითადი წყარო – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები<sup>6</sup> და ფულადი გზავნილები<sup>7</sup> - მნიშვნელოვნად შემცირდა. ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, რადგან ქალების უმრავლესობა სოფლის მეურნეობის, განათლებისა და ჯანდაცვის დაბალ ანაზღაურებად სფეროებშია დასაქმებული და ძალიან მცირე ხელფასს იღებს: 2005 წ. ქალის საშუალო ნომინალური ყოველთვიური ხელფასი, კაცის ხელფასის 49 პროცენტს შეადგენდა<sup>8</sup>. მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეკონომიკური ზრდის

5. საქართველოს ეკონომიკა 4%-ით შემცირდა 2009 წლის გლობალური კრიზისის ფონზე. გლობალური ეკონომიკის პერსპექტივები, კრიზისის დაფინანსება და ზრდა 2010, მსოფლიო ბანკი 2010 წლის იანვარი, გვერდი 129

6. <http://statistics.ge/main.php?pform=48&plang=1> 2007, წელს ქალების დასაქმების მაჩვენებელი 44 პროცენტს შეადგენდა, ხოლო კაცების - 55 პროცენტს.

7. <http://www.statistics.ge/press.php?plang=1&pform=-536>

8. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, ქალი და კაცი საქართველოში 2006. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, 2004 წელს ქალების საშუალო, ყოველთვიური ნომინალური ხელფასი კაცების ხელფასის 60 პროცენტს შეადგენდა; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, ქალი და კაცი საქართველოში 2005.

აღდგენა, პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის გაზრდა და უმუშევრობის შემცირება ფისკალური წამახალისებელი პაკეტის (ნაწილობრივ ფინანსდება დონორთა მიერ 2008 წ. აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ გაღებული თანხებით) შემოღებით, რაც გულისხმობს გადასახადების შემცირებას და სოციალური სექტორის ხელშეწყობას. სიღარიბის დონე 2005 წ. დაფიქსირებული 24,1 პროცენტიდან 2007 წლისათვის 21,3 პროცენტამდე შემცირდა, მაგრამ 2008 წ. მკვეთრად გაიზარდა 22,1 პროცენტამდე<sup>9</sup>. საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის სიღარიბის შეფასების ანგარიშში გამოყენებულია განსხვავებული მეთოდოლოგია, რაც ზღუდავს შედარების შესაძლებლობას; ამ ანგარიშის თანახმად 2007 წ. სიღარიბის დონე 23,6 პროცენტია, სოფლად – 29,7 პროცენტი, ქალაქად კი 18,3 პროცენტი; ხოლო საქართველოს სამ ულარიბეს რეგიონში: შიდა ქართლში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში - 64,2%, 47,6% და 43,4<sup>10</sup>. სიღარიბის დონის უარყოფითი ტენდენცია შეიძლება გაგრძელდეს; ამიტომ საჭიროა მისი შერჩერება და უკუქცევა დასაქმების, ვაჭრობისა და ჯანსაღი კონკურენციის გაზრდით; დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ულარიბესი ფენის დადებითი ცვლილებების შედეგებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

კვლავ ბევრი პრობლემა რჩება განათლების სფეროში. სკოლამდელი განათლების და მასში მოსახლეობის ჩართულობის დონე დაბალია, რაზეც გავლენას ახდენს სოციალური და გეოგრაფიული ფაქტორები: ულარიბეს და სოფლად მცხოვრებ ოჯახებს, მიუხედავად დიდი საჭიროებისა, ყველაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სკოლამდელ განათლებაზე. 2008 წ. ბიჭების 100, ხოლო გოგონების 98 პროცენტი შევიდა სკოლაში<sup>11</sup>. თუმცა, საქართველომ 2015<sup>12</sup> წლისათვის შეიძლება სრულად ვერ შეასრულებს ათასწლეულის განვითარების მე-2

მიზანი - საყოველთაო დაწყებითი განათლება. 2007 წ. განათლების შეფასების საერთაშორისო შედეგების თანახმად, დაწყებითი განათლების ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს<sup>13</sup>. სკოლამდამთავრებულთა მხოლოდ 50% აგრძელებს სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში<sup>14</sup>. განათლების ნაკლებხელმისაწვდომობა დაუცველი ბავშვებისთვის, სკოლიდან გარიცხვის მაღალი მაჩვენებელი და სკოლებში ძალადობის ხშირი შემთხვევები დიდ ყურადღებასა და სათანადო რეაგირებას მოითხოვს. მეტიც, 2008 წ. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, საშუალო და უმაღლესი განათლება მეტ მუშაობას საჭიროებს. განათლებაზე განეული ხარჯების მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 2,5 პროცენტამდე მერყეობს,<sup>15</sup> რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალია რეგიონში.

ჯანდაცვის რეფორმის წარმატება ძირითადი მაჩვენებლების უმნიშვნელო გაუმჯობესებაში გამოიხატა. დადგინდა, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნების მისაღწევად და ჯანდაცვის საყოველთაო მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფინანსურ, გეოგრაფიულ და ინფორმაციულ დაბრკოლებებს და ჯანმრთელობის გაფრთხილების დაბალ კულტურას.<sup>16</sup> ბევრს არ აქვს სამედიცინო დაზღვევა, რაც მათ სამედიცინო მომსახურებაზე კატასტროფული ხარჯების განევას აიძულებს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობისა და გაეროს სტატისტიკური მონაცემები გაუმჯობესებულია, მაინც რჩება სერიოზული პრობლემები, მითუმეტეს თუ საქართველო აპირებს, 2015 წლისთვის შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ჩვილთა, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის კოეფიციენტის თვალსაზრისით; ამჟამად ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 27, 30 (1000 დაბადებულზე

9. <http://www.statistics.ge/main.php?pform=49&plang=1>  
 10. სიღარიბის შეფასება საქართველოში, მსოფლიო ბანკის ანგარიში №, 44400-GE, აპრილი 2009, გვ 59, 65.  
 11. <http://stats.uis.unesco.org/unesco/TableViewer/tableView.aspx?ReportId=182>  
 12. განსხვავებული ხელმისაწვდომობა განათლებაზე? განათლების შესწავლა რეგიონულ დონეზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ს ქვეყნებში, გაეროს ბავშვთა ფონდი 2007 გვ 10

13. <http://timss.bc.edu/TIMSS2007/index.html> და <http://timss.bc.edu/pirls2006/index.html>  
 14. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პუბლიკაცია კავკასიაში პროფესიული განათლების და სწავლების შესახებ: ეროვნული სისტემების ეფექტური ფუნქციონირების 2008  
 15. UNDP-საქართველო, (2008), საქართველოს ჰუმანური განვითარების ანგარიში 2008 - რეფორმები და მათი შემდგომი განვითარება, თავი 4  
 16. <http://euro.who.int/document/E92960.pdf>

2007 წ.)<sup>17</sup> და 23 (100000 დაბადებულზე 2006 წ.)<sup>18</sup>. დედათა და ბავშვთა ჯანდაცვა, პერი- და ნეონატალური ჯანდაცვის სისტემა და კვების რაციონი გასაუმჯობესებელია. საქართველოში ამაღლდა მოსახლეობის ცნობიერება სქესობრივი და რეპორდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, მაგრამ სქესობრივი ქცევის ტენდენციები, აბორტების მაღალი მაჩვენებელი, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები, კლავაც პრობლემურია. საქართველოში შიდსის გავრცელების დონე დაბალია, 2009 წ. ამ მაჩვენებელმა 51,4 შეადგინა 100000 მოსახლეზე<sup>19</sup>; თუმცა დიდი ძალისხმევით საჭირო შიდსის პრევენციასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

დემოკრატიულ მმართველობაზე გადასასვლელად საჭიროა თანაფარდობის გაუმჯობესება სასამართლო, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. მიმდინარე სასამართლო რეფორმის განხორციელებისას გადადგმული სასიკეთო ნაბიჯების შედეგად შეიქმნა გარემო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოსთვის, თუმცა კვლავაც ბევრია გასაკეთებელი სისტემის დახვეწისა და მისი მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. სათანადოდ არ არის დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები, საჭიროა სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად უნდა ნახალისდეს

17. უწყებათა შორისი ჯგუფი ბავშვთა სიკვდილიანობის საკითხებზე მუშაობისათვის (UNICEF, WHO, WB და UN მოსახლეობის განყოფილება), 2007, [www.childmortality.org](http://www.childmortality.org). ოფიციალური მონაცემები ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ და ხუთ წლამდე ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი: [http://www.ncdc.ge/Eng/Statistics/Statistical\\_Reports/2008/MATERNAL%20AND%20CHILD%20HEALTH.pdf](http://www.ncdc.ge/Eng/Statistics/Statistical_Reports/2008/MATERNAL%20AND%20CHILD%20HEALTH.pdf)

18. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობა და ჯანდაცვა, სტატისტიკური წელიწადული, საქართველო 2008, თბილისი 2009. WHO/UNICEF/UNFPA და მსოფლიო ბანკის MMR 2005 შეფასება არის 66 100,000 ცოცხლად შობილზე, რომელიც შესწორებულია დედათა აღურიცხავი სიკვდილიანობით [www.childinfo.org/maternal\\_mortality.html](http://www.childinfo.org/maternal_mortality.html)

19. ახალი HIV/AIDS ეროვნული სტრატეგიის გეგმა (NSPA) 2011-2016 პროექტის სიტუაციური ანალიზი 2010 წლის თებერვალ

და დაიხვეწოს სამართლიანი, კონკურენტული არჩევნების უზრუნველყოფის პროცესი. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული უმცირესობებისა და სხვა დაუცველი ჯგუფების ინტეგრაციას. პოლიტიკური პარტიების სისტემისა და პარლამენტის ინსტიტუტის განვითარებას ხელშეწყობა სჭირდება. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის განხორციელება, თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერება ფინანსური დეცენტრალიზაციის გზით, და მათი მანდატის ეფექტური მოქმედება კვლავაც მნიშვნელოვან საკითხად რჩება. მნიშვნელოვანია ქალის როლის გაძლიერება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აღსანიშნავია რომ მინისტრთა კაბინეტის თვრამეტი წევრიდან მხოლოდ ერთია ქალი, ამასთან ქალები პარლამენტის წევრების მხოლოდ 5%-ს შეადგენენ, ხოლო მუნიციპალიტეტებში - 11%-ს. ბოლო წლებში განხორციელდა დემოკრატიული რეფორმები, რაც მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის და ეროვნული გეგმის შემუშავებას, თუმცა ჭეშმარიტი გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა მდგრადი პოლიტიკური ნება; ანუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე უნდა შემუშავდეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც ალჭურვილი იქნება სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსებით.

ცალკე საკითხია მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და გამოყენება: სტატისტიკის ეროვნული სამსახურები და მონიტორინგის სისტემები შეზღუდული რაოდენობის მონაცემებს აგროვებენ, რომლებიც უმეტესწილად არასაიმედოა. ხშირია განსხვავება კვლევების შედეგებსა და ოფიციალურ სტატისტიკას შორის. პოლიტიკის ინფორმირებული განვითარებისა და სახელმწიფო და ადგილობრივ დონეებზე რესურსების უკეთ განაწილებისთვის მნიშვნელოვანია ეროვნული სისტემების დახვეწა და დროული და საიმედო სტატისტიკის წარმოება.

საქართველო ხშირად დგას ბუნებრივი (მინისძვრა, წყალდიდობა, გვალვა და მენყერი) და ტექნოლოგიური საფრთხეების (სამრეწველო და საგზაო შემთხვევები, კომპლექსური ავარიები) წინაშე, რაც უარყოფითად მოქ-

მედებს მდგრად განვითარებაზე. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს წინასწარი შეტყობინების, რისკის შემცირების, კონფლიქტის პრევენციის, სამშვიდობო, კატასტროფებსა და ავარიებზე რეაგირების შესაძლებლობის განვითარებისა და კოორდინაციის სისტემების შექმნის აუცილებლობას. ამ სფეროების უმეტესობაში წინსვლა უკვე შეინიშნება, განსაკუთრებით 2008 წლიდან. მაგრამ საჭიროა შესაბამისი სისტემებისა და სტრუქტურების შექმნა და განვითარება. საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას გაერო გაითვალისწინებს საქართველოს თავისებურებებს და მიმართავს სათანადო მეთოდებსა და მიდგომებს.

რაკი კვლავ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი, საქართველოს მთავრობის და საქართველოში გაეროს წარმომადგენლობისთვის მნიშვნელოვანია გაეროს მხარდაჭერის სწორად დაგეგმვა, მისგან მაქსიმალური ეფექტის მისაღებად, აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია UNDAF-ის მეშვეობით.

## UNDAF-ის შექმნის პროცესი

UNDAF-ი საქართველოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაეროს მიერ 2011-2015 წწ. განსახორციელებელი საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი ინსტრუმენტია. ეს არის გაეროს ერთიანი გამოხმაურება ეროვნულ პრიორიტეტებზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამაში „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ და სხვა ძირითდ ეროვნულ დოკუმენტებში. UNDAF-ის მოქმედების ვადა ემთხვევა ათასწლეულის განვითარების მიზნების ბოლო ხუთწლიან პერიოდს, შესაბამისად UNDAF-ი ასახავს ათასწლეულის დეკლარაციისა და ათასწლეულის განვითარების მიზნების სულისკვეთებას. UNDAF-ის მეშვეობით, გაერო მიზნობრივად ეხმარება საქართველოს მთავრობას ათასწლეულის განვითარების მიზნების დროულად მიღწევაში. ამასთან, UNDAF-ი წარმოადგენს ერთობლივ ვალდებულებას სხვა საერთაშორისო ვალდებულებების, საერთაშორისო კონფერენციების გადაწყვეტილებების, კონვენციებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ინსტრუმენტების შესრულების შესახებ. UNDAF-ი პრაქტიკულად

აბორციელებს გაეროს მიმდინარე რეფორმებს ინტენსიური თანამშრომლობის შესაძლებლობათა დადგენის და ქვეყანაში ფუნქციონირების შემცირების გზით.

საქართველოში გარდამავალი პერიოდი ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფრონტებზე, ამასთან ქვეყანა ძალას იკრებს შეიარაღებული კონფლიქტისა და სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების შემდეგ. UNDAF-ის შემუშავებამ წარმოადგინა გაეროს, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა პარტნიორების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობა. UNDAF-ი არის პრიორიტეტების დადგენის დინამიური პროცესის შედეგი.

გაეროს სააგენტოთა ჯგუფმა UNDAF-ის ფორმულირების პროცესი 2009 წ. მარტში დაიწყო, რისთვისაც გადასინჯა 2006-2010 წწ. UNDAF-ი<sup>20</sup>; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა „საქართველოს საჭიროებათა 2008 წ. ერთობლივ ანალიზს“ და წინასწარ განსაზღვრულ სირთულეებსა და პრიორიტეტებს. შემდეგ შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც წარმართავდა 2011-2015 წწ. UNDAF-ის შემუშავების პროცესს. 2009 წ. ივნისში გამართულ სემინარზე მთავრობა, გაეროს რეზიდენტი და არარეზიდენტი სააგენტოები და სხვა მონაწილეები შეთანხმდნენ სამ სტრატეგიულ თემატურ სფეროზე და დაიწყეს მუშაობა შედეგების ცხრილებზე. შეიქმნა სამი თემატური ჯგუფი, სადაც გაერთიანდნენ სხვადასხვა სამინისტროსა და სამთავრობო დეპარტამენტის წარმომადგენლები, გაეროს (მათ შორის არარეზიდენტი სააგენტოების) წამყვანი თანამშრომლები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება. თემატური ჯგუფები ხელმძღვანელობდნენ ივნისის სემინარის შედეგებითა და კრიტიკურიუმებით, როგორცაა: ზემოქმედება სახელმწიფოებრივ განვითარებაზე, პრობლემის მნიშვნელობა, ჩართულობა, უთანასწორობის შემცირება და გაეროს შედარებითი უპირატესობანი. 2009 წ. ივლის-დეკემბერში თემატურმა ჯგუფებმა ჩაატარეს ღრმა სიტუაციური ან-

20. 2007 წ. 2006-2010 წწ. UNDAF-ი ასევე გადასინჯა გენდერული თანასწორობის მისაღწევად სააგენტოთა ჯგუფის საქმიანობის მაჩვენებლის გამოყენებით

ალიზი და მოამზადეს თემატური სფეროების სქემები, შესაბამისი სტრატეგიები და შედეგები. არარეზიდენტი სააგენტოები აქტიურად მონაწილეობდნენ თემატური ჯგუფების საქმიანობაში და ღირებული წვლილი შეიტანეს პროცესში. 2009 წ. ნოემბრის UNDAF-ის სახელმძღვანელოს თანახმად, თემატურმა ჯგუფებმა წარმოადგინეს შედეგების ცხრილების სამი თავდაპირველი ვარიანტი. საკონსულტაციო ჯგუფმა, განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის საკოორდინაციო სამსახურმა, დირექტორთა რეგიონულმა ჯგუფმა და გაეროს სასწავლო ცენტრმა ღირებული დახმარება გაუწიეს თემატურ ჯგუფებს.

საქართველოს UNDAF-ი ორიენტირებულია სამ თემაზე, რომლებიც სრულად შეესაბამება ქვეყნის პრიორიტეტებსა და გაეროს ღირებულებებს, ასევე გაეროს სააგენტოთა მანდატებს. ესენია:

- სიღარიბის შემცირება
- დემოკრატიული განვითარება
- კატასტროფის რისკის შემცირება

UNDAF-ის შემუშავებისას გათვალისწინებული მრავალსაპექტიანი საკითხები საფუძვლად დაედება ყველა თემის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. ესენია: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, გენდერული თანასწორობა, ეკოლოგიური მდგრადობა, შედეგზე ორიენტირებული მართვა და შესაძლებლობათა განმტკიცება. ასევე მნიშვნელოვან, კომპლექსურ საკითხებად ჩაითვა კონფლიქტის პრევენცია და კონფლიქტისშემდგომი ვითარების გამოსწორება. ეს საკითხები აისახა UNDAF-ში კონფლიქტით დაზარალებულ სექტორებს, მოსახლეობასა და სფეროებში დაძაბულობის შემცირების მიზნით.

UNDAF-ში დეტალურადაა განხილული გაეროს თანამშრომლობის გეგმა პარტნიორებთან, კერძოდ, სამთავრობო სტრუქტურებთან სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე, კერძო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ადგილობრივ თემებთან, გაეროს არარეზიდენტ სააგენტოებთან და სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დოკუმენტში აღწერილია გაეროს შესაძლებლობა, წვლილი შეიტანოს საქართველოში მნიშვნელოვანი მიმართულებების

განვითარებაში: ესენია ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება და მობილიზაცია, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების ამაღლების ხელშეწყობა, ეროვნული განვითარების პოლიტიკის ობიექტური მონიტორინგი და შეფასება, და მიუკერძოებელი რჩევები პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რასაც საფუძვლად დაედება საერთაშორისო გამოცდილება, ნორმატიული სტანდარტები, კომპეტენცია და საუკეთესო პრაქტიკა.

UNDAF-ი ნათლად განსაზღვრავს მის წარმატებით განხორციელებაში გაეროს სააგენტოების და სხვა პარტნიორობის მონაწილეობის პროცესს. შემუშავდა ღონისძიებათა მონიტორინგის და შეფასების სისტემა და გეგმა. განხორციელების სისტემატური მონიტორინგისთვის დოკუმენტში გათვალისწინებულია რეალური, კარგად გამოთვლილი მაჩვენებლები. შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად დაგეგმილ ღონისძიებებს კოორდინაციას გაუწევს გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისი.

UNDAF-ი ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც პოლიტიკური დიალოგის ინსტრუმენტს წარმოადგენს: ის ხელს უწყობს პარტნიორობისა და დისკუსიების წარმართვას საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში. UNDAF-ის მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება მისი შესწორება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. გაეროს სააგენტოები მოამზადებენ საპროგრამო დოკუმენტებს და წლიურ სამუშაო გეგმებს 2011-2015 წლებისთვის, რაც ხელს შეუწყობს UNDAF-ით გათვალისწინებულ ღონისძიებათა წარმატებით შესრულებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2010 წ. თებერვალში ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მთავრობის, გაეროს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები, განხილული იქნა 2011-2015 წლების დოკუმენტის საბოლოო ვერსია. 2010 წლის ივნისში საქართველოს მთავრობის და გაეროს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს UNDAF -ს.

წინამდებარე ანგარიშს ა დანართის სახით ახლავს UNDAF-ის შედეგების ცხრილები, სადაც ასევე მოცემულია მაჩვენებლები, რომლებითაც შეფასდება შედეგების მისაღწევად საჭირო ღონისძიებები და UNDAF-ის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. ამ ნაწილში მოცემულია მოკლე შინაარსი და UNDAF-ის სამივე ძირითადი ასპექტი, რომლებზეც გაერო იმუშავებს საქართველოს მთავრობასა და სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. 2011-2015 წწ. გაეროს საქართველოსთან თანამშრომლობის ძირითადი მიზანია ქვეყნის განვითარებისა და სოციალური ჩართულობის გეგმების მომზადება. UNDAF-ი შემუშავდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობათა განმტკიცებას საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გადართვის მიზნით. საქართველოს მთავრობისა და გაეროს ერთობლივი ვალდებულება ითვალისწინებს ინსტიტუციურ შესაძლებლობათა გაძლიერებას ყველა დონეზე, ასევე თითოეული ინდივიდის ქმედუნარიანობის ამაღლებას მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების და ყველასთვის თანაბარი სოციალური მომსახურებების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, უნდა გაიზარდოს

სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები, მისი გადართვის მიღებისა და მონიტორინგის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

2011-2015 წწ. გაეროსა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობის მოსალოდნელი შედეგები UNDAF-ში წარმოდგენილია ორ ძირითად საფეხურად:

- საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფოებრივი განვითარების პრიორიტეტები თუ ამოცანები, რომელთა მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვლება UNDAF-ის თემატური სფეროები.

- UNDAF-ის შედეგები რამდენადმე სპეციფიურია და განსაზღვრავს სფეროებს, სადაც გაეროს შეუძლია დამატებითი ღირებულება შესძინოს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობათა განმტკიცების პროცესს. თითოეულ სფეროში მიღებული კონკრეტული შედეგი ხელს შეუწყობს საქართველოში პოლიტიკური, სამართლებრივი, ინსტიტუციური და შესაძლებლობების ხარვეზების აღმოფხვრას და ათასწლეულის განვითარების მიზნების და ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნების შესრულებას.

შედეგების მესამე საფეხური ცალკე აისახება საქართველოს მთავრობასა და გაეროს სააგენტოებს შორის ორმხრივად შეთანხმებულ საპროგრამო დოკუმენტებსა და სამუშაო გეგმებში. შედეგების მესამე საფეხური მოიცავს თითოეული სააგენტოს მიერ თავისი მანდატის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს.



# 1 ეროვნული განვითარების პრიორიტეტი - სიღარიბის შემცირება

საქართველოს მთავრობის ეს ყოვლისმომცველი მიზანი შეესაბამება ათასწლეულის განვითარების მიზნების პირველ ეროვნულ და საერთაშორისო მიზანს - უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრას, რაც ასახულია მთავრობის ძირითად პოლიტიკურ დოკუმენტებსა და განვითარების სტრატეგიებში. საქართველოში გაერომ განსაზღვრა შედეგების სამი მიმართულება, რაც, მისი შედარებითი უპირატესობის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს საყოველთაო მიზნის შესრულებას.

**შედეგი 1 - ინკლუზიური განვითარება და სიღარიბის შემცირება საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკის მეშვეობით, მათ შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში UN-CEB ვაჭრობის და პროდუქტიული შესაძლებლობების სააგენტო-საერთაშორისო კლასტერი (UNCTAD, FAO, ITC,**

სწრაფი და ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზრდა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა არსებული კრიზისის გავლენისა და სიღარიბის დასაძლევად. მთავრობა აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ბაზრებზე შესაძლევად და ფეხის მოსაკიდებლად; შესაბამისად, ცდილობს, შექმნას ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზა, პოლიტიკა და ინფრასტრუქტურა. გაერო დაეხმარება მთავრობას სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შექმნას საჭირო პირობები საერთაშორისო ბაზრებსა და სავაჭრო ინსტიტუტებზე ხელმისაწვდომობისთვის.

დაგეგმილია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა. საქართველოს შეუძლია ახლომდებარე ქვეყნებში არსებული დიასპორების რესურსები გამოიყენოს ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბესთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. გაეროს შეუძლია, დაეხმაროს საქართველოს, უკეთ მოახდინოს საინვესტიციო რესურსების მობილიზება სატრანსფერო მომსახურებათა



გაუმჯობესების ხელშეწყობით იმ რეგიონებში, სადაც არ არსებობს ჩვეულებრივი საბანკო სისტემა, ახალი სატელეფონო სატრანსფერო ტექნოლოგიების, მცირე ბიზნესისა და თვითდასაქმების განვითარების სპეციალური საინვესტიციო პროგრამების უზრუნველყოფით.

კერძო სექტორის განვითარების მიზნით, დაგეგმილია კომპანიებისა და მენარმეების დახმარება, რომ მათ უკეთ მიუწვდებოდეთ ხელი ფინანსებზე, განახლებულ სავაჭრო ინფორმაციაზე, მონაცემებსა და საქმიანობის ხელშეწყობ მომსახურებებზე. სოფლის მეურნეობის შერჩეულ მიმართულებებში ეფექტურობა და ცოდნა ამაღლდება ანალიზის შესაძლებლობების გაუმჯობესების და დამატებითი ღირებულების ჯაჭვების შექმნის გზით.

საქართველოს კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს წარმოების სექტორების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, წესებსა და რეგულაციებთან, შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე პირუტყვის ჯანმრთელობის, მცენარეთა დაცვის და სურსათის უვნებლობის სისტემებთან. გაერო ხელს შეუწყობს სავაჭრო ინსტიტუტების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს კერძო სექტორის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, ექსპორტის ზრდას და კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე, განსაკუთრებით ევროკავშირში. ამას დაემატება სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების განვითარების ხელშეწყობა. გაეროს მონაწილეობის კიდევ ერთი სფერო არის ქვეყნის შესაძლებლობათა გაუმჯობესება ვაჭრობისა და საინვესტიციო პოლიტიკის მომზადებისა და მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიზნით.

ამ კუთხით გაეროს მხარდაჭერით განხორციელებული ყველა ღონისძიება უპასუხებს ეკონომიკური განვითარების რეგიონულ და სახელმწიფოებრივ საჭიროებებს და გამიზნული იქნება უღარიბესი რეგიონებისა და სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კონფლიქტისშემდგომი ვითარების გაჯანსაღებას, შესაბამისი სახელმწიფო და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურების შესაძლებლობათა გაუმჯობესებას და ტექნიკური დახმარებისათვის საჭირო რესურსებს.

**შედეგი 2 - დაუცველ მოსახლეობას უფრო მეტად მიუწვდება ხელი სათანადო სამუშაო<sup>21</sup> შესაძლებლობებსა და სამუშაო პირობებზე. ILO, IOM, UNDP, UNECE, UNHCR, UNICEF.**

საქართველოს მთავრობა აღნიშნავს დასაქმების შესაძლებლობების ზრდის საჭიროებას სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარებისთვის. ქალებისა და მამაკაცების შესაძლებლობა, მიიღონ შემოსავლიანი სამუშაო თავისუფალ, უსაფრთხო, თანასწორ და ღირსეულ პირობებში, აუცილებელია სიღარიბისა და შიმშილის დასაძლევად და საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის. ხელისუფლება, დამსაქმებლები, კავშირები და სამოქალაქო საზოგადოება ერთობლივად მონაწილეობენ სათანადო სამუშაო პირობების შექმნაში. გაერო საქართველოში მხარს დაუჭერს მათ შემდეგი მიმართულებებით:

პროფესიული განათლების სისტემის განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში. გაერო ხელს შეუწყობს მართვის სახელმწიფო და ადგილობრივი სტრუქტურების შესაძლებლობათა განმტკიცებას პროფესიული განათლების დაწესებულებათა შექმნისა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ასევე მიზნობრივ სწავლებასა და საკონსულტაციო და საშუამდგომლო ინიციატივებს, რომლებიც გამიზნულია ადგილობრივ დონეებზე დასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძ-

21. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და საერთაშორისო თანამეგობრობის განსაზღვრებით ღირსეული სამუშაო არის ქალებისა და მამაკაცების მიერ თავისუფალ, თანასწორ და ღირსეულ პირობებში შესრულებული ნაყოფიერი სამუშაო. ღირსეული სამუშაო ითვალისწინებს შესაძლებლობებს პროდუქტიული სამუშაოსათვის, რომელსაც სამართლიანი შემოსავალი მოაქვს; უზრუნველყოფს უსაფრთხოებას სამუშაო ადგილზე და მომუშავეთა და მათი ოჯახების სოციალურ დაცვას; სთავაზობს პირადი განვითარების უკეტეს პერსპექტივებს და ახელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას; აძლევს ხალხს აზრის გამოხატვის და მათი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის თავისუფლებას; უზრუნველყოფს თანასწორ შესაძლებლობებს და თანაარ მოპყრობას ყველას მიმართ. [http://www.global-unions.org/IMG/pdf/WDDW\\_brochure.en.pdf](http://www.global-unions.org/IMG/pdf/WDDW_brochure.en.pdf)

ლებლობათა შესაქმნელად, განსაკუთრებით, დაუცველი ჯგუფებისთვის (ლტოლვილები, დევნილები და მისთ.).

ამ ღონისძიებათა ფარგლებში გაეროს სისტემის ერთ-ერთი მიზანია მართვის სახელმწიფო და ადგილობრივი სტრუქტურების ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება შრომის საკითხებზე. განსაზღვრული კონკრეტული საკითხები ეხება კერძო სექტორის შესაძლებლობათა განვითარებას და ქსელური ინიციატივებისა და სტრატეგიების მომზადებას, ასევე კონცეფციების, სიახლეებისა და ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზს, კერძო და საზოგადოებრივი სექტორების თანამშრომლობის პროექტების შემუშავებასა და განვითარებას და შრომის საკითხებზე სამმხრივი სოციალური დიალოგის წარმართვას.

სათანადო სამუშაო პირობების უკეთ გაცნობიერება ღირსეული სამუშაოს კონცეფციის განუყოფელი ასპექტია. შესაბამისად, გაერო სათანადო პროექტებისა და პროგრამების მეშვეობით დაეხმარება საქართველოს, გააუმჯობესოს სამუშაო პირობები მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით. ხელი უნდა შეეწყოს შრომის ადმინისტრირების<sup>22</sup> შემოღებას, რადგან ის დაეხმარება სათანადო სამუშაოსთან დაკავშირებული მონაცემებისა და პოლიტიკის უკეთ შემუშავებას და შრომის ტენდენციებისა და საკითხების მონიტორინგს.

**შედეგი 3 - დაუცველ ჯგუფებს უფრო მეტად მიუწვდებთ ხელი ხარისხიან ჯანდაცვაზე, განათლებაზე, იურიდიულ მომსახურებაზე, სასამართლოსა და სხვა აუცილებელ სოციალურ სამსახურებზე UNICEF, IAEA, IOM, OHCHR, UNAIDS, UNDP, UNECE, UNFPA, UNHCR, UNIFEM, WFP, WHO.**

სიღარიბის საკითხის მოგვარების გარდა, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების შესაძლებლობათა უზრუნველყოფით, ჯანდაცვა, განათლება და სოციალური დაცვა ხელისუფლების ეროვნული განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილია. ღარიბთა და დაუცველთა მხარდაჭერისა და დახმარების

ქმედითი ერთეულებისა და მექანიზმების შექმნა, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან სოციალურ მომსახურებას და მიზნობრივ სოციალურ დაცვას, საქართველოს მიერ ადამინის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების და განვითარების გეგმის შესრულების აუცილებელი პირობაა. გაერო დაეხმარება საქართველოს მთავრობას ამ შედეგის ფარგლებში გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

გაერო, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინირებული მუშაობით, ხელს შეუწყობს მთავრობის, როგორც მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმაზე პასუხისმგებლის, გაძლიერებას, რომ ყველა ჯგუფს მიუწვდებოდეს ხელი განათლებაზე. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა გაჭირვებული და დაუცველი ბავშვების განათლების საკითხს, განსაკუთრებით ინკლუზიურ, სკოლამდელ და დანყებით განათლებას, და ზოგადად განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. მთავრობის ინიციატივა უსაფრთხო სკოლის შესახებ მიზნად ისახავს სკოლებში ძალადობის შემცირებას და სპორტის განვითარებას. გაერო ხელს შეუწყობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას საგზაო უსაფრთხოების და საგზაო შემთხვევების შესახებ დაუცველი მოსახლეობის ცოდნის გარმაგვებით.

გაერო კვლავ დაუჭერს მხარს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მიმდინარე სამთავრობო რეფორმას, რაც ითვალისწინებს მართვის სახელმწიფო და ადგილობრივი სტრუქტურების შესაძლებლობათა განმტკიცებას სოციალური დაცვის პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის, ასევე სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის და ბავშვთა კეთილდღეობის სამსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით. კრიტიკულ საკითხებად ჩაითვლება დეინსტიტუციონალიზაცია და ბავშვთა ალტერნატიული მომსახურებების შემოღება. მხარდაჭერის მეორე პრიორიტეტი არის ინკლუზიური სოციალური დაცვის ზომების გასატარებლად საჭირო საიმედო განახლებული მონაცემები და მტკიცებულებები. მთავრობა მიიღებს დახმარებას შვილად აყვანის, ასევე ბავშვების გაყიდვისა და ტრეფიკინგის პრევენციის შესახებ ჰააგის

22. 2009 წ. 20-21 ოქტომბერს გამართული მრგვალი მაგიდის შედეგად შეიქმნა შერიგების/შუამდგომლობის საბჭო და განისაზღვრა მისი როლი და ფუნქციები

კონვენციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მისაღწევად.

გაერო ხელს შეუწყობს მთავრობის შესაძლებლობის გაძლიერებას, დაუცველი მოსახლეობის, მათ შორის დევნილების, ლტოლვილების, ინვალიდებისა და აივ-ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა მხარდასაჭერად, რაც გულისხმობს ამ ადამიანების ცნობიერების ამაღლებას და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ძირითად მომსახურებებზე. კერძოდ, გაერო მჭიდროდ ითანამშრომლებს მთავრობასთან დევნილთა და ლტოლვილთა კოლექტიური ცენტრების რემონტისა და პრივატიზაციის საკითხებზე, ასევე გენდერული და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის ხარისხიანი მომსახურებების მიწოდებაზე.

ჯანდაცვის სექტორში, გაეროს სისტემა კვლავაც დაუჭერს მხარს ჯანდაცვასთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების ეროვნული მიზნების მიღწევას. ამ შედეგის უდიდესი პრიორიტეტი არის ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის შემცირება ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობის გაუმჯობესებით, რაც ითვალისწინებს დედათა და ბავშვთა ჯან-

დაცვის და კვების რაციონის უზრუნველყოფას და დაუცველ მოსახლეობაში ჯანდაცვის მომსახურებაზე მიმართვის გაუმჯობესებას. გაეროს მხარდაჭერის მეორე პრიორიტეტი არის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესება გაძლიერებული კოორდინაციის, გაუმჯობესებული პოლიტიკისა და მარეგულირებელი მექანიზმების, მომსახურების, სახელმძღვანელოებისა და პროტოკოლების განახლების, უკეთესი მომსახურების მიწოდების სახელმწიფო შესაძლებლობების ამაღლების, მომსახურებაზე მოთხოვნის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და ქცევის შემცვლელი განათლებისა და კომუნიკაციის გზით. დამატებით, გაერო იმუშავებს აივ/შიდსის პრევენციაზე გაეროს თემატური ჯგუფის მეშვეობით და ამ საკითხის ინტეგრაციით შესაბამის პროგრამებში; რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივ რეაგირებას აივ/შიდსზე, ასევე კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებასა და მიღებას. გაერო მონაწილეობას მიიღებს რადიაციული და ბირთვული მედიცინის სფეროში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების შესაძლებლობებათა გაუმჯობესებაში.



## 2 ეროვნული განვითარების პრიორიტატი - დემოკრატიული განვითარება კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებებსა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული თანაბარზომიერი, დამოუკიდებელი, სამართლიანი და მონაწილეობით მართვის სისტემების და პროცესების მეშვეობით

2004 წლიდან საქართველოს მთავრობა აქტიურად ახორციელებს მმართველობის სისტემის რეფორმას თანამედროვე, მოქნილი, გამჭვირვალე, ქმედითი და მყარი სისტემების შექმნის მიზნით, რაც ყველასთვის უზრუნველყოფს განვითარებასა და სამართლიანობას. ეთიკური ნორმები და ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვა ამ მიდგომის ძირითად ღერძს წარმოადგენს. გაერო კვლავ დაუჭერს მხარს ხელისუფლებას ამ რეფორმების გაგრძელებაში, კერძოდ დაუცველი ჯგუფების

და პირების უკეთ დასაცავად და სამოქალაქო საზოგადოების და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

**შედეგი 1 - ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება; სამართლიანობისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების, მარგინალური და დაუცველი ჯგუფებისათვის UNFPA, ILO, IOM, OHCHR, UNAIDS, UNDP, UNHCR, UNICEF, UNIFEM, WHO.**

ამ შედეგის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მიზნად ისახავს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე დაუცველი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების, ბავშვების, ქალების, დევნილების, 2008 წ. აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტით დაზარალებულთა და ლტოლვილების, აივინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა, შრომითი მიგრანტების, გენდერული და ოჯახ-



ური ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დამნაშავე ახალგაზრდებისთვის სამართალსა და დაცვაზე ხელმისაწვდომობის მექანიზმების შემუშავებას.

გაერო მხარს უჭერს სამართალსა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას, ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტურ კანონებად, რეგულაციებად და პოლიტიკურ მიმართულებებად ჩამოყალიბებით, განსაკუთრებით, სასამართლო სისტემის ადმინისტრირების თვალსაზრისით. გაეროს მხარდაჭერა ასევე გავრცელდება შემდეგ საკითხებზე: რეფორმა, ქმედითი და გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავება და ინსტიტუციონალიზაცია, კოორდინაცია და თანამშრომლობა, ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პროგრამების და სამოქმედო გეგმების მომზადება და განხორციელება, მათ შორის გენდერული და ოჯახური ძალადობის შესახებ, და ხარისხიანი მომსახურების მიწოდება. გაერო ახალი ინიციატივების და ერთობლივი პროგრამის მეშვეობით, განაგრძობს მუშაობას გენდერული თანასწორობის და ქალთა შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით. სასამართლო და არასრულწლოვანთა სამართლის სისტემებში რეფორმის ხელშეწყობა გაეროს მხარდაჭერის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

კონვენციები, ხელშეკრულებები და სტანდარტები, რომლებითაც რეგულირდება დაუცველი პირებისა და ჯგუფების უფლებები და უზრუნველყოფილია მათი ინტეგრაცია ფართო საზოგადოებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან მათში დეტალურადაა განმარტებული ადამიანის უფლებები, ბავშვთა უფლებები, გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია (CEDAW, UN SC რეზოლუციები 1325 და 1820), დევნილთა, ლტოლვილთა, აივ-ინფირმებულთა და შიდსით დაავადებულთა, გენდერული და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა საკითხები, ძალადობა ბავშვთა მიმართ, შრომა (მათ შორის შრომითი მიგრაცია), ადამიანების, მათ შორის ბავშვების, ტრეფიკინგი.

გარდა ამისა, გაერო ხელს შეუწყობს მო-

სახლეობის, განსაკუთრებით ზემოაღნიშნული დაუცველი ჯგუფების, ცნობიერების ამაღლებას მათი უფლებების და არსებული სახელმწიფო და სოციალური მომსახურებებისა და დახმარებების შესახებ.

**შედეგი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია ადგილობრივი ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით UNDP, UNICEF.**

საქართველოს მთავრობამ მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია, რაც მიზნად ისახავდა ადგილობრივი საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას, სათანადო გადაწყვეტილებების ადგილობრივად მიღებას და შესაბამისი მომსახურებების უზრუნველყოფას. სისტემა ჯერ კიდევ ახალია და, შესაბამისად, უნარები და გამოცდილება სხვადასხვა დონეზე უმჯობესდება. გაერო მიზნობრივ დახმარებას გასწევს ყველა დონეზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ქმედითობის ამაღლების მიზნით. ის დაეხმარება რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობებს ადგილობრივი სახელმწიფო მომსახურებების დაგეგმვის, მიწოდების და მონიტორინგის განხორციელებაში. გაერო ასევე დაეხმარება შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს მათი შესაძლებლობების გაძლიერებისა და სათანადო ინსტიტუციური და პოლიტიკური სისტემის შექმნის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის და გაუმჯობესებული სოციალური დაცვის მხარდასაჭერად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საყოველთაო სოციალური დაცვის სისტემის დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს ყველა დონეზე.

გაეროს სააგენტოები გააძლიერებენ სახელმწიფო და ადგილობრივ დონეებზე დაინტერესებულ მხარეთა თავდაჯერებულობასა და კონფლიქტის პრევენციის შესაძლებლობებს, განსაკუთრებით, 2008 წ. აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე. შესაძლებლობას მისცემს მათ, მშვიდობიანად განაგრძონ დემოკრატიული პროცესები.

**შედეგი 3 - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანაბარზომიერება არის ერთიანი დემოკრატიისა და სახელმწიფო სტაბილურობის საფუძველი UNDP, UNHCR, UNICEF.**

საქართველომ უდიდესი ძალისხმევა გასწია დემოკრატიისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული, თანამედროვე, სტაბილური სახელმწიფოს შესაქმნელად და კვლავ განაგრძობს საკანონმდებლო და სისტემურ რეფორმებს საერთაშორისო სტანდარტებთან და პროცესებთან დასაახლოვებლად.

გაერო განაგრძობს მთავრობის მხარდაჭერას ამ მიმართულებით. ის დაეხმარება საკონსტიტუციო საბჭოს, მთავრობის ხელშეწყობით მოამზადოს შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაუფლების თანაბარზომიერად გასანაწილებლად და საქართველოს კონსტიტუციის შესწორებების პაკეტის მოსამზადებლად, რომელიც მომზადდება ეროვნული შეთანხმებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

გაეროს მხარდაჭერის კიდევ ერთი მიმართულებაა მიმდინარე სასამართლო რეფორმა და პარლამენტის შესაძლებლობათა და საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბიუჯეტო პოლიტიკის გამჭვირვალობას და კანონშემოქმედებას, თვითმმართველობის კანონმდებლობას და გაუმჯობესებულ თანამშრომლობას შესადარი გამოცდილების მქონე ქვეყნებთან.

მიმდინარე წლებში საქართველომ წარმატებით ჩაატარა საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები. მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, გაერო განაგრძობს მთავრობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის დახმარებას ამ პროცესების დასახვეწად, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობების გაძლიერების და მათ შორის ნაყოფიერი დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და ქმედით საარჩევნო პროცესს. გაერო ასევე აპირებს სამოქალაქო საზოგადოების მხარაჭერის გაძლიერებას ამ სფეროში კონსტრუქციული შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

დახმარებას მიიღებს აღმასრულებელი ხელისუფლებაც მისი უწყებების მანდატებისა და პოლიტიკური მიზნების გათვალისწინებით.

**შედეგი 4 - დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ქმედითი მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში UNICEF, ILO, OHCHR, UNAIDS, UNDP.**

საქართველოს მთავრობას მნიშვნელოვნად მიაჩნია სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციების და თავისუფალი მედიის აქტიური მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებასა და მართვაში. სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები და თავისუფალი მედია სიახლეა საქართველოსთვის და ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. თუმცა რაც იზრდება მათი გამოცდილება, მით უფრო წარმატებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

გაერო ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა შესაძლებლობების განმტკიცებას, მათი თვითრწმენის და ურთიერთნდობის გასაძლიერებლად და შექმნის გაუმჯობესებულ გარემოსა და თანამონაწილეობრივ, თანამშრომლობაზე აგებულ პროცესს, რაც შესაძლებელს გახდის მათ წარმატებულ მონაწილეობას ინფორმირებულ დიალოგში, დებატებში, პოლიტიკის განვითარებასა და მონიტორინგში.

გაეროს სააგენტოთა მანდატების შესაბამისად განსაზღვრული საჭიროებებისა და ხარვეზების გათვალისწინებით, გაეროს მხარდაჭერა ორიენტირებულია შემდეგ მიმართულებებზე:

ადგილობრივი დაწესებულებები მიიღებენ მხარდაჭერას თავიანთ პროგრამებსა და პოლიტიკაში ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხების გასათვალისწინებლად საჭირო შესაძლებლობათა განმტკიცების მიზნით. იმავდროულად, გენდერულ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მიიღებენ მხარდაჭერას ხელმისაწვდომი რესურსების უზრუნველყოფად და შესაძლებლობათა გასაუმჯობესებლად. ამასთან შეიქმნება საფუძველი

მათი მოსაზრებების ასასახად შესაბამის პოლიტიკაში, კანონმდებლობაში, პროგრამებსა და ბიუჯეტში.

გაიზრდება შერჩეული სამოქალაქო საზოგადოების [სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო და ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და სოციალური პარტნიორების (დამსაქმებელთა და დასაქმებულთა)] და მედიის პოლიტიკასა და საჯარო დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამასთან, ეს ორგანიზაციები მეტად ჩაერთვებიან საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებთან საქართველოს შესაბამისობის მონიტორინგის პროცესში.

**შედეგი 5 - დაწესებულებები შეიმუშავენ პოლიტიკას საიმედო მონაცემებისა და სამართლიანი, თანამონაწილეობრივი საკანონმდებლო პროცესების საფუძველზე IOM, OHCHR, UNAIDS, UNDP, UNECE, UNFPA, UNHCR, UNICEF, UNIFEM, WHO.**

საქართველოში პოლიტიკის განვითარების და მონიტორინგის გაუმჯობესება შესაძლებელია არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების

და მედიის მონაწილეობით, არამედ დროული, მნიშვნელოვანი და საიმედო მონაცემებით და ინფორმაციით. თუმცა ეს უკანასკნელი არასაიმედოა, რადგან სტატისტიკის შესაძლებლობები რამდენადმე სუსტია გარკვეული სახის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის თვალსაზრისით, მათ შორისაა: ათასწლეულის განვითარების მიზნები, მოსახლეობის დინამიკა, მიგრაცია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდები, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და აივ/შიდსი. პოლიტიკის მესვეურთ და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და რესურსების განაწილებისა და მონიტორინგის გასაუმჯობესებლად საიმედო მონაცემები სჭირდებათ. გაერო დაეხმარება სახელმწიფო სტატისტიკურ სამსახურებს ოფიციალური, დროული და საიმედო სტატისტიკის წარმოებაში, რაც აუცილებელია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული დაეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმას, რომლის შედეგად სტატისტიკის სამსახური დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდა. მას მართავს საბჭო სათანადო კანონებითა და ევროსტატის რეკომენდაციების შესაბამისად.



**3** პროვნილი განვითარების პრიორიტეტი - კატასტროფის რისკის შემცირება. კატასტროფის რისკის პრევენცია ან შერბილება; საგანგებო ვითარებისთვის მომზადება და მასზე რეაგირება ერთობლივი მართვითა და კოორდინირებული მოქმედებით; მუშაობა გაეროს ჰიოგოს 2005-2015 წ. სამოქმედო გეგმის სრულად განსახორციელებლად; სათანადო ზომების მიღება ბუნებრივი რისკების ამონეწვისა და გარემოს დაზიანების პრევენციის მიზნით.

ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფები მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ ხარჯებს იწვევს, საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სტაბილურობასა და განვითარებას, მათ შორის ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას. კატასტროფები განსხვავებულად მოქმედებს ქვეყნებზე, მათი განვითარების გზის თავისებურებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული ძალისხმევა, ასევე მაღალი

რისკის მოსახლეობის დაცვის საჭიროების აღიარება პოტენციური კატასტროფის მიმართ მისი გამძლეობის განმტკიცებით. საქართველოსთვის უცხო არ არის კატასტროფები. ყოველწლიური წყალდიდობები, მიწისძვრები, ეროზიით გამოწვეული პრობლემები, მიწის მართვა, სასურსათო უსაფრთხოება და არაადეკვატური სამშენებლო საქმიანობა ხაზს უსვამს არა მარტო კატასტროფებზე რეაგირების საჭიროებას, არამედ კატასტროფების პრევენციის და მათი შედეგების შერბილების პროფილაქტიკური მექანიზმების ამოქმედებას.

გასული წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, მაგრამ მეტი ძალისხმევაა საჭირო ქმედითი, მდგრადი სისტემებისა და მექანიზმების შესამუშავებლად, რაც შეამცირებს კატასტროფის რისკს და მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით დანაკარგებს კატასტროფის შემთხვევაში. საქართველოსა და გაეროს სხვა წევრ ქვეყნებს, ჰიოგოს 2005-2015 წ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ ქვეყნისა და მისი მოსახლეობის კატასტროფების მიმართ მდგრადობა და დაიცვან შესაბამისი სამოქმედო პრიორიტეტები კატასტროფის რისკის შეს-



ამცირებლად.<sup>23</sup> აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ყველაზე დაუცველი რეგიონების შესაძლებლობათა განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას და დაეხმარება მოსახლეობას, თავი დაიცვას კატასტროფის შემთხვევაში, მათ შორის მინისძვრის ან უმძიმესი უამინდობის პირობებში. გენდერული საკითხების გათვალისწინება უნდა მოხდეს კატასტროფის მართვის პოლიტიკის შემუშავების და შემდეგ საკითხებზე გადანიშნულებების მიღების პროცესში: რისკის შეფასება, ადრეული გაფრთხილება, ინფორმაციის მართვა, განათლება და ტრენინგი.<sup>24</sup> UNDAF-ში გათვალისწინებული ჰიოგოს სამოქმედო გეგმის რეკომენდაციები კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ განხორციელდება გაეროს სააგენტოების, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობით. ჰიოგოს სამოქმედო გეგმა ავსებს საქართველოს არსებულ პოლიტიკასა და მიდგომებს, რომლებიც ასახულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში და შესაბამის კანონმდებლობასა და პროცედურებში. ამ ნაწილში ასახული მთავარი შედეგები და დაგეგმილი ღონისძიებები სრულად შეესაბამება ჰიოგოს სამოქმედო გეგმას.

კატასტროფის რისკის შემცირება და ბუნებრივი რესურსების მართვა პარალელური პროცესებია. გარემო და ბუნებრივი მოვლენები, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ამალღებენ ქვეყნისა და მოსახლეობის აღქმას საფრთხის ზეგავლენის მიმართ. საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ ეროვნული უსაფრთხოება დამოკიდებულია მდგრად გარემოსდაცვით პოლიტიკაზე და ბუნებრივი რესურსების მართვაზე. სწორედ ეს აისახა UNDAF-ში: კატასტროფის შედეგების პრევენცია ან მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია მხოლოდ UNDAF-ის პირველ ორ თემატურ სფეროში განხილული საკითხების მოგვარებით, ანუ სიღარიბის შემცირების და მართვის სწორი სისტემების უზრუნველყოფით.

23. იხილეთ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები 63/216 და 63/217, თებერვალი 2009.

24. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო 2005-2015, III. მოქმედების პრიორიტეტები 2005-2015, ზოგადი მოსაზრებები, გვ. 4, იხილეთ [www.unisdr.org/wcdr](http://www.unisdr.org/wcdr)

**შედეგი 1 - კატასტროფის რისკის შემცირება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტია, რომელსაც აქვს განხორციელების ძლიერი ინსტიტუციური საფუძველი** **FAO, IOM, UNDP, UNHCR, UNICEF, WFP.**

ქვეყნებს, რომლებიც ამზადებენ კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკას, კანონმდებლობას და ინსტიტუციურ ჩარჩოებს, შეუძლიათ რისკის მართვის და კატასტროფის რისკის შემცირების ზომებთან შესაბამისობის პროგრესი სპეციალური მაჩვენებლების მეშვეობით გაზომონ.<sup>25</sup> კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ქმედითი ფუნქციონირების პირველი პრიორიტეტი არის კატასტროფის რისკის შემცირების ინკლუზიური სახელმწიფო პლატფორმის შემოღება ინსტიტუციური, საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩოების გათვალისწინებით. გაერო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად ითანამშრომლებს საქართველოს მთავრობასთან კატასტროფის რისკის შემცირების კონცეფციის სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების გეგმებში ჩართვის მიზნით. ის დაეხმარება საქართველოს მთავრობას, მიიღოს და შეასწოროს კატასტროფის რისკის შემცირების მხარდაჭერი კანონმდებლობა, მათ შორის რისკის შემცირების და შერბილების უზრუნველყოფი მექანიზმები და ნორმები. გაერო დაეხმარება საქართველოს შესაბამისი ხელშეკრულებების და კონვენციების დაცვასა და სრულ განხორციელებაში.

**შედეგი 2 - კატასტროფის რისკის დადგენა, შეფასება, მონიტორინგი და წინასწარი შეტყობინების სისტემის გაუმჯობესება** **FAO, IAEA, IOM, UNDP, UNHCR, UNICEF, WFP.**

კატასტროფის რისკის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა საფრთხისა და პოტენციური ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური დანაკარგის შესახებ დეტალური ინფორმაციის ფლობა, ასევე ცოდნა იმისა, თუ როგორ იცვლება საფრთხე და სავარაუდო დანაკარგები მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს ცოდნა,

25. Ibid, p. 6.

შესაძლოა, საფუძვლად დაედოს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ქმედებას და პოლიტიკის ფორმულირებას. ამდენად, გაეროს სისტემა მთავრობასთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ან გააუმჯობესებს კატასტროფის რისკის დადგენის, შეფასების, კვლევისა და მონიტორინგის მექანიზმებს ყველა დონეზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკოლოგიური კატასტროფის გავლენას შიდა მიგრაციაზე. შესაბამისად, გაერო იმუშავებს ეკოლოგიურ მიგრაციაზე საქართველოს მთავრობის რეაგირების შესაძლებლობის გაუმჯობესებაზე. ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული ცოდნა ხელს შეუწყობს წინასწარი შეტყობინების სისტემების ჩამოყალიბებას და ინფორმაციის დროულად და სათანადოდ გავრცელებას. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ზოგადად მთავრობისა და მისი ცალკეული სტრუქტურის ინსტიტუციურ შესაძლებლობათა გაუმჯობესებას.

### **შედეგი 3 - უსაფრთხოების დაცვისა და კატასტროფის შედეგებისადმი მდგრადობის კულტურის განვითარება ცოდნის, განათლებისა და სიახლეების გამოყენებით** FAO, IOM, UNDP, UNICEF.

თავად კატასტროფები და მათი ზეგავლენა შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს, თუ მოსახლეობა კარგად იქნება ინფორმირებულნი კატასტროფის და მისი პრევენციის ზომების შესახებ. ეს კი მოითხოვს საფრთხის, შესაძლო დანაკარგების და განვითარების შესაძლებლობების შესახებ ცოდნის დაგროვებას და სათანადოდ გავრცელებას. გაერო ხელს შეუწყობს საზოგადოებისა და ხელისუფლების ცნობიერების ამაღლებას უსაფრთხოების დაცვისა და მდგრადობის კულტურის შესახებ განათლების, სიახლეებისა და ცოდნის მეშვეობით. ის მხარს დაუჭერს კატასტროფის რისკის შემცირების თემის ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც გამიზნული იქნება ბავშვების, ახალგაზრდების და სხვა დაუცველი ჯგუფებისთვის. აქტიური თანამშრომლობა და ქსელის შექმნა დაინტერესებულ მხარეებს შორის (სამეცნიერო წრეები, პრაქტიკოსები, გარემოსდაცვის სპეციალისტები, ხელმძღვანელები და დამგეგმავები) უსაფრთხოების

დაცვისა და მდგრადობის კულტურის განვითარების ძირითადი ფაქტორია. გაერო ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობის სასარგებლო მექანიზმების შექმნას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინფორმაციის გავრცელების ქმედითი საშუალებების ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას რისკის შემცირების შესახებ რესურსების სწორად მართვისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გონივრულად გამოყენების მეშვეობით.

### **შედეგი 4 - კატასტროფის რისკის შემცირება მდგრადი გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების მართვის გზით** FAO, IAEA, UNDP, UNICEF, UNIDO, WFP, WHO.

კატასტროფის რისკის შემცირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ რისკი გათვალისწინებულია სექტორის განვითარების გეგმებსა და პროგრამებში. კატასტროფის რისკის შემცირება მრავალმხრივი საკითხია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ძირითად საქმიანობაში, გეგმასა და პოლიტიკაში. ჰიოგოს სამოქმედო გეგმასა და სხვა საერთაშორისო კონვენციებსა თუ ხელშეკრულებებში რისკის ფაქტორების შემცირება განხილულია საყოველთაო პრობლემებთან, მათ შორის კლიმატურ ცვლილებებთან, მიმართებაში. გაერო ითანამშრომლებს საქართველოს მთავრობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებსა და ადგილობრივ თუ სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ყველა სახის რისკის ფაქტორების შესამცირებლად, რის შედეგადაც გარემო უფრო უსაფრთხო გახდება მთელი ქვეყნისთვის. აღნიშნული განხორციელებული ბუნებრივი რესურსების მართვის მიდგომებისა და ინსტრუმენტების მდგრადი სისტემის შექმნით. კლიმატის რისკის მართვას ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კატასტროფის რისკის შემცირებაში, შესაბამისად განხორციელებული სათანადო კვლევა და ანალიზი. საქართველოს ტოპოგრაფია, კლიმატი და გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ, ეკოლოგიური რისკის შესამცირებლად უმნიშვნელოვანესია მრავალმხრივი მიდგომა. გაერო მთავრობასთან თანამშრომლობით ჩა-

მოაყალიბებს ეკოლოგიური მართვის, დაცვის და დაგეგმვის სტრუქტურებს ყველა დონეზე.

**შედეგი 5 - კატასტროფაზე რეაგირების სთვის მზადყოფნის გაძლიერება ყველა დონეზე** FAO, IOM, UNDP, UNFPA, UNHCR, UNICEF, WFP, WHO.

კატასტროფის ზეგავლენა და მასთან დაკავშირებული დანაკარგები მნიშვნელოვნად შემცირდება, თუ ხელისუფლება, თითოეული ადამიანი და საზოგადოება მომზადებული იქნება და სწორად უპასუხებს განვითარებულ მოვლენებს. შესაბამისად, გაერო ხელს შეუწყობს კატასტროფის მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას ყველა დონეზე – ცენტრალურიდან ადგილობრივამდე. გარდა ამისა, გაერო მონაწილეობას მიიღებს კატასტროფის მართვის სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი ურთიერთშემდგომი სტრატეგიების შექმნასა და განხორციელებაში ქვეყანაში კატასტროფაზე რეაგირების შესაძლებლობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული სტრატეგიულად დააკავშირებს ღონისძიებებს სახელმწიფო, რეგიონულ და თემის დონეზე, ამასთან მოხდება ამ ღონისძიებათა ინსტიტუციონალიზაცია. ფუნქციური სათადარიგო გეგმები მომზადდება ყველა დონეზე, რაც ხელს შეუწყობს რეაგირების შესაძლებლობების ზრდას და ყოველი მონაწილის როლის განსაზღვრას. კოორდინაცია გაეროს, საქართველოს მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და რისკის ქვეშ მყოფ მოსახლეობას შორის განსაკუთრებულ მხარდაჭერას მიიღებს. გაერო ითანამშრომლებს მთავარ მონაწილეებთან კატასტროფის მართვის ეროვნული სტრუქტურის შესაქმნელად, რომელსაც ექნება კატასტროფაზე რეაგირების დიდი შესაძლებლობა, მათ შორის ჯანდაცვის სექტორში, რადგან საავადმყოფოებსა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებს პირველებს უხდებოდათ რეაგირება. საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირების წარმატებას განაპირობებს ორგანიზაციული შესაძლებლობა და გაერო თავის ძალისხმევას მიმართავს, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე გავრცელდეს საუკეთესო გამოცდილების საფუძველზე შექმნილი, შეთანხმებული მიდგომა.

**საქართველო ინისიატივაში UNDAF-ის შედეგად მიღწევა**



UNDAF-ი შეიქმნა საქართველოს მთავრობას, საქართველოში მოქმედ გაეროს სააგენტოებს, ფონდებსა და პროგრამებს, ასევე გაეროს არარეზიდენტ სააგენტოებსა და განვითარების საკითხებზე მომუშავე სხვა პარტნიორებს შორის კონსულტაციების შედეგად. UNDAF-ში მოცემული სამი თემატური სფერო განხორციელდება 2011-2015 წწ. გაეროს სააგენტოების სამოქმედო გეგმებით ან ერთობლივი პროგრამებით გათვალისწინებული მრავალი მიდგომისა და ღონისძიების მეშვეობით.

კონფლიქტისშემდგომ პერიოდში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გაჯანსაღება (საარსებო საშუალებათა და ძირითადი სოციალური სამსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ადამიანის უფლებათა დაცვა) ზოგადად გაეროს მხარდაჭერისა და შესაძლებლობათა განმტკიცებაზე მიმართული პროგრამების, ამ შემთხვევაში კი, UNDAF-ის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. 2008 წ. აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად საქართველოში შექმნილი ვითარების პასუხად გაეროს სააგენტოთა ჯგუფი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული მოქმედებით განაგრძობს დემოკრატიაზე გარდამავალი პროცესისთვის დამახასიათებელ დამატებლობათა აღმოსაფხვრელად საჭირო საშუალებათა გამოყენებასა და ახლის ძიებას. შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი ვითარება, შესაძლოა, ახალ ძალისმიერ კონფლიქტში გადაიზარდოს, ამიტომ საჭიროა დაზარალებულ მხარეებში თავდაჯერებულობის აღდგენა და ახალი შესაძლო კონფლიქტის პრევენცია. მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველმყოფი ქმედებები ხელს შეუწყობს UNDAF-ის შედეგების მიღწევას, თუმცა, გარკვეულ თავისებურებათა გამო, ისინი მხოლოდ ნაწილობრივად ასახული UNDAF-ის შედეგების ცხრილებში და ამიტომ ეთმობა მათ განსაკუთრებული ყურადღება დოკუმენტის ამ ნაწილში.

დიდი კატასტროფის თუ განსაკუთრებული ვითარების შემთხვევაში გაეროს სააგენტო-

თა ჯგუფი, ბუნებრივია, დაეხმარება საქართველოს მთავრობას დამატებითი ჰუმანიტარული დახმარების მობილიზებაში, თუნდაც ეს სცდებოდეს UNDAF-ის ფარგლებს. კატასტროფის რისკის შემცირების თემის მეხუთე შედეგის მისაღწევად განხორციელებული ქმედებები დაეხმარება საქართველოს კატასტროფაზე თუ განსაკუთრებულ ვითარებაზე რეაგირების სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი გეგმების უკეთ მომზადებასა და საერთაშორისო დახმარების ეფექტურად განაწილებასა და ათვისებაში.

თუ UNDAF-ის მოქმედების პერიოდში, მთავრობა და გაეროს სააგენტოთა ჯგუფი ერთობლივად განსაზღვრავენ ახალ მიმართულებებს, სადაც შესაძლებელია გაეროს მხარდაჭერა, დაიგეგმება დამატებითი ინდივიდუალური და ერთობლივი ქმედებები, იმ სპეციფიკური პრობლემების საპასუხოდ, რომლებიც სცდება UNDAF-ის შედეგების ფარგლებს.

## ჩვენს

UNDAF-ის მიზნებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები მოცემულია UNDAF-ის შედეგების ცხრილებში (დანართი ა) და შემაჯამებელ ცხრილში (დანართი ბ). 2011-2015 წწ. UNDAF-ის მიზნებისთვის საქართველოში მობილიზებული იქნება 188.5 მილიონი აშშ დოლარი. ეს მაჩვენებელი მოიცავს თითოეული ორგანიზაციის მიერ ძირითადი აქტივობებისთვის გამიზნულ თანხებს და ასევე ფინანსურ რესურსებს, რომელთაც ორგანიზაცია სავარაუდოდ დამატებით გამოყოფს UNDAF-ის ციკლის მსვლელობისას. ფინანსური რესურსების შეფასების შედეგად წლიურმა ბიუჯეტმა 37.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

როგორც დანართი ბ-ს ცხრილიდან ჩანს, UNDAF-ის მიხედვით რესურსებზე მოთხოვნა შემდეგნაირად ნაწილდება: 54.1 პროცენტზე მეტი მიდის სიღარიბის შემცირებაზე (102 მილიონი აშშ დოლარი); 26.9 პროცენტი (50,7 მილიონი აშშ დოლარი) - დემოკრატიულ განვითარებაზე; ხოლო 19 პროცენტი (35,8 მილიონი აშშ დოლარი) გამიზნულია კატასტროფის

რისკის შემცირებისთვის. თანხის უმეტესობის გამოყენება სიღარიბის შემცირების კომპონენტისთვის აიხსნება ამ სფეროში გასატარებელი მნიშვნელოვანი ღონისძიებებით. დემოკრატიული განვითარებისა და კატასტროფის რისკის შემცირების კომპონენტებში ძირითადად გათვალისწინებულია შესაძლებლობის გაუმჯობესებისა და განვითარების პროექტების განხორციელება, ასევე კონსულტაციები და რეფორმების მომზადება - განხორციელების ტექნიკური ხელშეწყობა.

რაც შეეხება სააგენტოებს: აღმასრულებელი კომიტეტის (ExCom) სააგენტოების [UNDP, UNFPA, UNICEF და WFP (PRRO)] მიერ მოთხოვნილი რესურსების შეფასებითი მოცულობა მთლიანი ჯამის 69.1 პროცენტს შეადგენს; სპეციალიზებული სააგენტოები და გაეროს შტაბ-ბინის ერთეულები პასუხისმგებლები არიან 30.9 პროცენტზე.

UNDAF-ის მიხედვით გამოყოფილი რესურსების მთლიანი მოცულობა შეიძლება გადაისინჯოს, რადგან საქართველო საშუალო შემოსავლის ქვეყანაა, მისი ეკონომიკა კი სწრაფად ვითარდება; შესაბამისად, მის განვითარებასთან ერთად გაერო შეამცირებს საქართველოში პროგრამებისა და საქმიანობის დაფინანსებას, ამასთან შეეცდება, უფრო ეფექტურად გამოიყენოს შეზღუდული რესურსები მათგან მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით.

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი და მუდმივი კოორდინატორი განაგრძობენ ფინანსების მოძიებას დაგეგმილ ბიუჯეტსა და UNDAF-ის ფარგლებში გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად რეალურად საჭირო თანხებს შორის შესაძლო განსხვავების დასაფარად. გაუმჯობესებული კოორდინაცია საქართველოს მთავრობას, გაეროს სააგენტოებსა და სხვა დონორებს შორის რესურსების წარმატებით მობილიზაციის საწინდარია.

თავდაპირველი ფინანსური მაჩვენებლები შეძლებისდაგვარად ზუსტია UNDAF-ის მომზადების მომენტისათვის. რესურსებზე ვალდებულებები აისახება სააგენტოთა საპროგრამო დოკუმენტებსა და პროექტებში თითოეული მათგანის დამტკიცების მექანიზმის შესაბამისად. UNDAF-ის ბიუჯეტი ყოველწლიურად გადაისინჯება და განახლდება სპეციალიზებულ და არარეზიდენტ სააგენტოთა პროგრამული ციკლის გათვალისწინებით.

აღმასრულებელი კომიტეტის სააგენტოთა (UNDP, UNFPA და UNICEF) პროგრამული ციკლი სრულად შეესაბამება UNDAF-ის ვადებს, ხოლო WFP მოქმედებს გრძელვადიანი დახმარებისა და რეაბილიტაციის საქმიანობის (PRRO) საფუძველზე. გაეროს სხვა სააგენტოები და ფონდები ხელმძღვანელობენ ერთ და ორწლიანი პროგრამებით და UNDAF-ის მსვლელობისას (2011-2015 წწ.) გაივლიან სხვადასხვა პროგრამულ ციკლს. UNDAF-ით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება გაეროს ცალკეულ სააგენტოთა ქვეყანასთან თანამშრომლობის გეგმებითა და პროგრამებით, რომლებიც შეთანხმებული იქნება პარტნიორ ორგანიზაციებთან. ინდივიდუალურ საპროგრამო და პროექტის დოკუმენტებში მოცემული იქნება UNDAF-ის შედეგების მიღწევის გზები. თითოეული სააგენტოს მიზნები, ამოცანები და სტრატეგია სრულ შესაბამისობაში იქნება UNDAF-თან.

2011-2015 წწ. UNDAF-ის წარმატების უზრუნველსაყოფად გაერო ითანამშრომლებს საქართველოს ხელისუფლებასთან ყველა დონეზე; ამასთან მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს სასარგებლო კავშირების დამყარებას სახელმწიფოს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. საქმიანობის განხორციელებისას გაეროს სააგენტოთა ჯგუფი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას. UNDAF-ის განსახორციელებლად საჭირო საქმიანობა მიმართული იქნება შესაძლებლობათა განმტკიცების, წინსვლის, დაგეგმვის სახელმწიფო სისტემების, რეფორმების განხორციელების, მართვისა და მონიტორინგის და განვითარების სტრატეგიების ხელშეწყობაზე საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა სოციალურ ჩართულობასა და დაუცველი ჯგუფების მონაწილეობას სიღარიბის შემცირების ღონისძიებებში. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია ნაყოფიერი თანამშრომლობა მუნიციპალურ და სათემო დონეებზე.

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი და მისი პარტნიორები განაგრძობენ მუშაობას UNDAF-ის წარმატებით განსახორციელებლად; გაეროს სააგენტოთა ჯგუფი და მუდმივი კოორდინატორი პასუხისმგებელი იქნებიან მის რეგულარულ მონიტორინგსა და შეფასებაზე. ამასთან, UNDAF-ის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს კოორდინაციას გაუწევს UNDAF-ის სამი თემატური სფეროს (სიღარიბის შემცირება, დემოკრატიული განვითარება და კატასტროფის რისკის შემცირება) მიხედვით შექმნილი სამი თემატურ ჯგუფი. გარდა ამისა, სხვა თემატური ჯგუფები უკვე მუშაობენ გაეროს სააგენტოების ჩართვაზე სხვადასხვა მნიშვნელოვან თემატურ თუ ყოვლისმომცველ საკითხში: გენდერული თანასწორობა, კონფლიქტით დაზარალებულთა მხარდაჭერა და კატასტროფებზე რეაგირების სათადარიგო გეგმების შემუშავება. ეს თემატური ჯგუფები განაგრძობენ ამ მნიშვნელოვან საკითხთა UNDAF-ის ფარგლებში განხორციელების პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

UNDAF-ის განხორციელებისას გაეროს სააგენტოთა ჯგუფი განაგრძობს ერთობლივ პროექტს გენდერული თანასწორობის თემაზე და მოიძიებს ახალი ერთობლივი პროგრამების წამოწყების შესაძლებლობებს. თემატური ჯგუფები შექმნიან ამგვარი ერთობლივი ინიციატივების განვითარების მექანიზმს. თემატური ჯგუფების სამუშაო გეგმებს ერთობლივ ღონისძიებათა შესახებ ექნება გამოკვეთილი მიზნები და ამოცანები. გარდა ამისა, გაეროს სააგენტოთა ჯგუფი დაასახელებს გაეროს ცალკეულ სააგენტოს ან პროგრამას, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში მოქმედ გაეროს ოჯახს თემატურ ეროვნულ თუ საერთაშორისო საკოორდინაციო სტრუქტურებში სათანადოდ ინფორმირებისა და შესაბამის სფეროში გაეროს სააგენტოების მიერ განეულები საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი განაგრძობს მუშაობას გაეროს მიერ ქვეყანაში განხორციელებული პროგრამებისა და სამოქმედო პროცედურების ჰარმონიზებისა და გამარტივებისთვის.

გაერო, საჭიროების ან საქართველოს მთავრობის მოთხოვნის შემთხვევაში, აქტიურად შეუწყობს ხელს დიალოგს განვითარების

რების სფეროში ჩაბმულ მხარეებს, კერძოდ მთავრობას, დონორებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს, შორის. გაერო მხარს დაუჭერს რეგიონულ თანამშრომლობას, განსაკუთრებით მოლაპარაკებებს ხელისუფლების მიერ ნაკისრ საერთაშორისო, მათ შორის გაეროს, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ.

## მონიტორინგი და შეფასება



UNDAF-ი ცოცხალი დოკუმენტია, რომელმაც უნდა უზასუხოს საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში განვითარების შედეგად მომხდარ ცვლილებებს. ამიტომ UNDAF-ის შედეგები დროდადრო გადაისინჯება ობიექტური და საიმედო მაჩვენებლებით, რომლებითაც შეფასდება UNDAF-ის ფარგლებში შესრულებული სამუშაო. ძირითადი მაჩვენებლები შემუშავებულია UNDAF-ის თითოეული თემატური მიმართულების შედეგებისთვის. მაჩვენებლებს ახლავს საბაზისო მონაცემები, ამოცანები და გადამონმების მექანიზმები. ამასთან, UNDAF-ის ყოველი შედეგისათვის გათვლილია ვარაუდები და რისკის შესაძლო ფაქტორები, რაც მოცემულია UNDAF-ის შედეგების ცხრილებში (დანართი ბ).

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი, მუდმივი კოორდინატორის ხელმძღვანელობით, UNDAF-ის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ძირითადი მეთვალყურე იქნება, და განვითარების პროცესის გათვალისწინებით, მთავრობასთან შეთანხმებული მოქმედებით, დაადგენს UNDAF-ში, მათ შორის მის მაჩვენებლებში, შესატან ცვლილებებს. გაეროს სააგენტოთა ჯგუფი მაჩვენებლების გამოყენებითა და UNDAF-ის წლიური განხილვის შედეგებზე დაყრდნობით სისტემატურად შეისწავლის UNDAF-ის განხორციელების პროგრესსა და მის შედეგებს, რასაკვირველია, UNDAF-ის განხორციელების პროცესში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით.

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი შეაფასებს სამი თემატური სფეროს მონაწილე ორგანიზაციათა თანამშრომლობას და უზრუნველყოფს,

რომ თითოეული სააგენტოს საპროგრამო და პროექტის დოკუმენტები და ერთობლივი პროგრამები აისახოს UNDAF-ის შედეგებში. ჯგუფის რეგულარული კრებები კვლავ შეუწყობს ხელს ინფორმაციის გაცვლას და სააგენტოთა თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერებას.

მონიტორინგისა და შეფასების დაგეგმვა და განხორციელება გათვალისწინებულია UNDAF-თან დაკავშირებული ყველა პროგრამისა და პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. საქართველოში მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობები და სისტემები გაძლიერდება შესაბამის ხელისუფლებასთან ერთად გამოვლენილ კონკრეტულ საჭიროებზე დაყრდნობით. დემოკრატიული განვითარების თემატური სფეროს მე-5 შედეგში მოცემული ღონისძიებები გამიზნულია მონაცემთა შეგროვების, მართვისა და დამუშავების სახელმწიფო შესაძლებლობებისა და სისტემების გაძლიერებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ზუსტ მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვას და განვითარებას.

UNDAF-ის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ერთ-ერთი პრინციპია პროგრესის და ზეგავლენის შესახებ დროული და საიმედო ინფორმაციის წარმოება გაეროს სააგენტოთა ჯგუფის, მთავრობის თუ განმახორციელებელი პარტნიორებისთვის ზედმეტი ტვირთის დაკისრების გარეშე. თითოეული სააგენტოს საპროგრამო თუ პროექტის დოკუმენტები და ერთობლივი პროექტები, ასევე სახელმწიფო სისტემებისა და პროცესების მიერ წარმოებული ინფორმაცია გამოიყენება UNDAF-ის მაჩვენებლების გასაახლებლად და საანგარიშგებოდ. UNDAF-ის ძირითადი მაჩვენებლებით ფასდება სამი თემატური სფერო, ხოლო გამოყენებული დამატებითი მაჩვენებლების ქვეჯგუფები და მათთან დაკავშირებული მონაცემები მიიღება თითოეული სააგენტოს საპროგრამო და პროექტის დოკუმენტებიდან.

UNDAF-ის მონიტორინგისა და შეფასებისას გაეროს სააგენტოთა ჯგუფს დაეხმარება UNDAF-ის სამი თემატური ჯგუფი და მონიტორინგისა და შეფასების ნებისმიერი სხვა სპეციალიზებული ჯგუფი. ეს ჯგუფები რეგულარულად შეიკრიბებიან, შესაბამისად სათანადო ინფორმაცია აისახება წლიურ ანგარიშში

UNDAF-ის განხორციელების პროგრესის შესახებ. მონიტორინგის და შეფასების პროცესში მონაწილეობას მიიღებს მთავრობა და სხვა პარტნიორებიც.

თითოეული სააგენტოს საპროგრამო დოკუმენტების წლიური თუ შუალედური განხილვის, ასევე პროგრამებისა თუ პროექტების გადასინჯვის შედეგად მიღებული მონაცემები ხელს შეუწყობს UNDAF-ის შედეგების მიღწევის პროგრესის ანალიზს.

როგორც უკვე აღინიშნა მეოთხე ნაწილში, UNDAF-ის ბიუჯეტი ყოველწლიურად გადაისინჯება სპეციალიზებული და არარეზიდენტი სააგენტოების სხვადასხვა საპროგრამო ციკლის ასახვის და სათანადო ცვლილებების, მათ შორის სახსრების მოძიების გზების, შეტანის მიზნით.

UNDAF-ის საბოლოო შეფასება მოხდება ერთობლივად გაეროს სააგენტოთა ჯგუფისა

და საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წ., რაც ასევე მოიცავს საქართველოს მიღწევებს ათასწლეულის განვითარების ეროვნულ მიზნებთან მიმართებაში. ეს შეფასებები ცხადყოფს, რომ გაეროს ძალისხმევა კვლავ მიმართულია ეროვნულ პრიორიტეტებზე, რომ მიღწევები და მიღებული გაკვეთილები აღიარებულია, სირთულეები და ახალი დაბრკოლებები გათვალისწინებულია და საუკეთესო გამოცდილება გამოყენებულია.

ბ დანართში მოცემულია UNDAF-ის მონიტორინგის და შეფასების კალენდარი, რომელიც ასახავს ღონისძიებათა გრაფიკს 2011-2015 წლებიათვის. ღონისძიებები გულისხმობს კვლევებსა და შეფასებებს, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობებისა და სისტემების გაუმჯობესებას.



## UNDAF-ის თემა 1: სიღარიბის შემცირება

### იარაღიანი გარემოსდაცვითი პრიორიტეტები ან მიზნები: სიღარიბის შემცირება

ათასწლეულის განვითარების ეროვნული მიზნების მხარდაჭერა: MDG 1 – უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა, MDG 2 – განათლების ხარისხისა და ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების გზით საქართველოს განათლების სისტემების ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში, MDG 3 – სექსუალური თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა, MDG 4 – ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, MDG 5 – დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება, MDG 6 – აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა, MDG 8 – განვითარებისათვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

შუალევი	ინდიკატორები, საბაზისო ღონე, მიზანი	გადათვლების საშუალებები	რისკები და პარამეტრები	პარტნიორების როლი	ინდიკატორები რუსულში (US\$)
<p><b>შუალევი 1</b></p> <p>ინკლუზიური განვითარება და სიღარიბის შემცირება საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკის მეშვეობით, მათ შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში</p> <p><b>UN-CEB</b> ვაჭრობის და პროდუქტიული შესაძლებლობების სააგენტოთაშორისი კლასტერი</p> <p><b>(UNCTAD, FAO, ITC, UNDP, UNECE, UNIDO)</b></p> <p>ILO, IOM, UNHCR, UNICEF, WFP</p>	<p><b>ინდიკატორები:</b></p> <p><b>1</b> სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტი (საშუალო შემოსავლის 60%) და უკიდურესი სიღარიბე (საშუალო შემოსავლის 40%)</p> <p><b>2</b> GINI კოეფიციენტი (მოხმარების მიხედვით)</p> <p><b>3</b> წარმოების უერჩეულ სექტორებში მიმდინარე პროცედურების შესაბამისობა საერთაშორისო და ტექნიკურ სტანდარტებთან, კერძოდ ISO სტანდარტებთან, EU ნებსებთან და ნორმებთან და შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან (ILS).</p> <p><b>საბაზისო ღონე:</b></p> <p>1 სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტი: (2008): 22.1% და უკიდურესი სიღარიბე (2008): 9.5%.</p>	<p>– შინამეურნეობების კვლევები (სტატისტიკის დეპარტამენტი სტატისტიკური წელიწადი) (<a href="http://www.statistics.ge">www.statistics.ge</a>)</p> <p>– <b>WB</b> სიღარიბის შეფასება</p> <p>– საქართველოს მთავრობა “ძირითადი მონაცემები და მიმართულებები”/ ხარჯების საშუალო ვადიანი ჩარჩო</p> <p>– საქართველოს ეროვნული ბანკი <a href="http://www.NBG.gov.ge">www.NBG.gov.ge</a></p> <p>– საქართველოს მთავრობა “ქვეყნის მდგომარეობის მიმოხილვა” <a href="http://www.georgia.gov.ge">www.georgia.gov.ge</a></p>	<p><b>რისკები:</b></p> <p>– მთავრობის თანამშრომელთა ხშირი ცვლა ხელს უშლის პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობის სისტემატურ განვითარებას</p> <p>– ეკონომიკური ზრდა ექვემდებარება მიზნობრივ საშუალო მაჩვენებელს ქვემოთ, რაც ზღუდავს დასაქმების შესაძლებლობებს და სიღარიბის საწინააღმდეგოდ მიმართულ სამთავრობო რესურსებს</p> <p><b>ვარაუდები</b></p> <p>– მთავრობა ვალდებულია შექმნას სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო</p>	<p>– ძირითადი სამინისტროები და სამთავრობო უწყებები, განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, საქსტატი, დიასპორის საკითხებზე სახელმწიფო მინისტრის სამსახური, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის საპარლამენტო კომიტეტი: კანონმდებლობა, პოლიტიკის შემუშავება, და დამკვეთი, მონაცემთა შეგროვება, ინსტიტუციური ჩამოყალიბება და სისტემების განვითარება, პოპულარიზაცია, კოორდინაცია, კომუნიკაცია, (შესაბამისობა) მონიტორინგი და შესაძლებლობების განვითარება</p>	<p>უწყებათაშორისი ვაჭრები ვაჭრობისა და პროდუქტიულობის შესაძლებლობების საკითხებზე</p> <p>UNCTAD \$ 109,565 FAO \$ 4,128,000 ITC \$ 15,000 UNDP \$ 4,455,000 UNECE \$ 58,000 UNIDO \$ 150,000</p> <p>და</p> <p>ILO \$ 50,000 IOM \$ 100,000 UNHCR \$ 6,600,000 UNICEF \$ 1,750,000 WFP \$ 14,700,000</p>

შუალევი	ინდიკატორები, საზღვარი დონე, მიზანი	გადაომიერების საშუალებები	რისკები და პარაულები	პარტნიორების როლი	ინდიკატორი რეაქსიები (US\$)
	<p>2. GINI კოეფიციენტი (მობ- მარების მიხედვით) 2008: 0.41</p> <p>3. მიმდინარეობს სტან- დარტების მიღება და მათთან შესაბამისობის შესაძლებლობის გაუმ- ჯობლება</p> <p><b>მიზნები:</b></p> <p>1 ეროვნული MDG 1 მიზანი                      1: 2000 და 2015 წლებს შორის ნაწილდება სიღ- რების ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროპორცია                      2 მიზანი არ არის განსაზ- დვრული: ტენდენციის ანალიზი                      3 წარმოების შერჩეულ სექ- ტორებში მიმდინარე პრო- ცედურები სრულ შესაბა- მისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან (კერძოდ ISO, EU და ILS).</p>	<p>– გაეროს და საერ- თაშორისო ორ- განიზაციების კვლევები, მოხსენ- ბები და ანგარიშე- ბი, მათ შორის ჰუმანური განვი- თარების ეროვნუ- ლი ანგარიშები და ექსპერტთა კომიტეტი კონენ- ციების და რეკო- მენდაციების ამოქმედების საკითხებზე (CEACR) on ILS - <a href="http://www.ilo.org/ilolex/">http://www.ilo.org/ilolex/</a></p>	<p>– მთავრობები ადას- ტურებენ თავიანთ ვალდებულებას საგაჭრო რეფორმი- სა და ბენეფიციარ ქვეყნებში მონაწი- ილეობრივი პოლი- ტიკური პროცე- სების გატარების შესახებ</p> <p>– განხორციელების პერიოდში მცირდ- ება განვითარების მხარდაჭერა</p>	<p>– რეგონული და ადგილობრი- ვი ხელისუფლებები: შეფასე- ბები და დამგეგმა, კოორ- დინაცია და ხელშეწყობა, მონიტორინგი</p> <p>– საერთაშორისო და არასამ- თავრობო ორგანიზაციები, განსაკუთრებით IMF, WB, ქართველ დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს პროფესიული კავშირების ფედერაცია, ფინანსური, ბიზნესის განვითარების და ვაჭრობის ხელშეწყობის დანესებულებები; სოცია- ლური დიალოგის, პოლი- ტიკის, სამართლებრივი და საინფორმაციო სისტე- მების განვითარების, ად- ვოკატირების და კვლევის ხელშეწყობის პროცესები</p> <p>– კერძო სექტორი, პოლიტი- კური დიალოგი და განხორ- ცილება</p>	<p>ILO \$ 1,400,000                      IOM \$ 3,000,000                      UNDP \$ 8,910,000                      UNECE \$ 80,000                      UNHCR \$ 6,600,000                      UNICEF \$ 1,250,000</p>
<p><b>შუალევი 2</b></p> <p>დაუცველ მოსახლეობას უფრო მეტად მიუწვდება ხელი სათანადო სამუშაო შესაძლებლობებსა და სამუშაო პირო- ბებზე.</p>	<p><b>ინდიკატორები:</b></p> <p>1 უმუშევრობის და დასაქმების დონეები (ქა- ლაქ/სოფლის, რეგიონის, სქესის და ასაკის მიხედ- ვით)</p> <p>2 ეფექტური სამხრევი სო- ციალური დიალოგი</p>	<p>– შრომის სტატის- ტიკური კვლ- ევა (სტატისტიკის დეპარტამენტი — სტატისტიკური წელიწადული) <a href="http://www.statistics.ge">www.statistics.ge</a></p>	<p><b>რისკები</b></p> <p>– გლობალური სოციალ ეკონომი- კური კრიზისის შედეგების დაძლე- ვის ნელმა ტემპმა შესაძლოა ხელი შეუშალოს საქარ- თო ველოში დასაქმების დონის ზრდას</p>	<p>– ძირითადი სამინისტროები და სამთავრობო უწყებები, განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველ- ყოვის სამინისტრო, კანონ- მდებლობის და პოლიტიკის განვითარება; დამგეგმა</p>	

შედეგები	ინდიკატორები, საბაზისო დონე, მიზანი	გადაომეფვის საშუალებები	რისკები და პარაულები	პარტნიორების როლი	ინდიკატორები (US\$)
<p><b>ILO, IOM, UNDP, UNECE, UNHCR, UNICEF</b></p> <p><b>საბაზისო დონე:</b>  1 უმუშევრობის დონე: 16.5% (2008), დასაქმების დონე: 52.3% (2008).  2 ხელშეწყობა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, საქართველოში სამხრეთი სოციალური დიალოგის ეფექტურად წარმართვისთვის</p> <p><b>მიზნები:</b>  1 უმუშევრობის დონის შემცირება და დასაქმების დონის ზრდა (საქართველოს მთავრობა "ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე" 2008-2012 — პირდება 200.000 ახალ სამუშაო ადგილს 2012 წლისათვის)  2 გაუმჯობესებული სამუშაო პირობები და სანარმოთა უსაფრთხოება სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური უზრუნველყოფის, დამსაქმებელთა ორგანიზაციების და პროფესიული კავშირების კონფედერაციის მონაცემები</li> <li>- ILO, UNECE და გაეროს სააგენტოების და სხვა საერთ. ორგანიზაციების კვლევები და ანგარიშები</li> <li>- შეხვედრების ოქმები და კოლექტიური და კერძო — სახელმწიფო პარტნიორების შეთანხმებები და მათი შეფასებები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბენეფიციარების მხარეს ვალდებულებების სიმცირემ შესაძლოა გავლენა მოახდინოს დასაქმების პროგრამებზე.</li> <li>- საზოგადოების დაბალი ცნობიერება სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და ღირსეული სამუშაო პირობების შესახებ.</li> </ul> <p><b>ვარაუდები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მთავრობა კალდებულაა შექმნას კეთილგანწყობილი ბიზნეს - გარემო</li> <li>- სამუშაო პირობების და შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე მუშაობის შედეგად გაიზარდა დამსაქმებლების და პროფესიული კავშირების ვალდებულებები და ინტერესი</li> <li>- ადგილობრივი ხელისუფლებები და კერძო სექტორი დაინტერესებული არიან მონაცემთა/ჯგუფებისთვის და/ან მარგინალურ ზონებში ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნით</li> </ul>	<p>და განხორციელება, პოპულარიზაცია, კოორდინაცია და მონიტორინგი, პროფესიული განათლების სისტემის განვითარება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური ინსტიტუტები განსაკუთრებით ქართველ დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაცია, საქართველოს სავაჭრო პალატა, ფინანსური და ბიზნეს განვითარების ინსტიტუტები, მოზრდილთა განათლების ასოციაცია, პროფესიული განათლების ინსტიტუტები; მონაცემთა შეგროვება, კვლევები, დაგეგმვის ხელშეწყობა, განხორციელების და მონიტორინგის შესაძლებლობების გაუმჯობესება, პროგრამების მომზადება და ტრენინგი</li> <li>- კერძო სექტორი; განხორციელება და უკუკავშირი</li> </ul>		

შუამავები	ინდიკატორები, საბაზისო დონე, მიზანი	გადაომიერების საშუალებები	რისკები და ვარაუდები	პარტნიორების როლი	ინდიკატორები რეაქსიები (US\$)
